# კვალი

XI. ყოველკვირეული გაზეთი. XI.

№ 9 კვირა, 23 თებერვალი 1903 წლისა. № 9

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კაპ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სასახლის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».


შინაარსი: რუსეთის ეკონ. მდგომარეობა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენციები. რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—დაბრუნება, მოთხ. ტანისა, თარ. ელისასი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—მეურნე და მეურნეობა, გ. მარმალაძისა.—ღია წერილი ბ. სიტყვას.—განცხადებანი.

---

**მესტამბის მიზეზის გამო „კვალის“ ** თავის დროზე ვერ იბეჭდება.**

---

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

**ნახატებიანი გაზეთი**

## „კვალი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა **1903** წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურად. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბაზად.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათომში სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საჩხერეში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

---

### რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა.

რუსეთის ეკონომიურმა ცხოვრებამ გასულ წელს ბევრი საყურადღებო მოვლენები მოგვცა, ბევრი საყურადღებო კითხვები წამოაყენა, მარა გადაჭრით კი არც ერთი არ გადაუჭრია. ყველა ეს წლევანდელ წელს გადმოეცა გადასაჭრელად და ცხოვრებაში გასატარებლად. განსაკუთრებულ თვალსაჩინო შეიქმნა სასოფლო მეურნეობის დაცემა და სოფლის ხალხის გაღატაკება. მარა წარმოების ეს დარგი მჭიდროდ დაკავშირებულია ერის მთელ წარმოებასთან და მისი ახსნაგარკვევა უნდა მოხდეს ამ საერთო წარმოების გათვალისწინებით და მისი მიმდინარეობის შეგნებით.

რუსეთის მრეწველობა დღიდან თავისი არსებობისა სახელმწიფოს განსაკუთრებულ მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და დღესაც იმყოფება. ეს მფარველობა გამოიხატება პრემიების მიცემაში, საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟის დადებაში, რის გამო შემოტანილი საქონელი ძვირად უჯდება უცხო მრეწველს და კონკურენციას ვერ უწევს ადგილობრივ მწარმოებელს. თუ მრეწველობის პირველ ხანებში ასეთი სისტემა (მფარველობითი) დიდად მარგებელი იყო, და დიდ სამსახურს უწევდა სამშობლო მრეწველობის აღორძინებას, გაძლიერებას, სამაგიეროთ ბოლოს იგივე სისტემა მისი განვითარების, წინსვლის შემაფერხებელი შეიქმნა. მფარველობითი სისტემა უარყოფაა კონკურენციისა. ის ნიშნავს ბაზარზე ადგილობრივ მრეწველის გაბატონებას, ხოლო სადაც არ არსებობს ინტერესთა წინაალმდეგობა, მეტოქეობა, იქ არც განვითარებას აქვს ადგილი. როცა მეტოქე არავინა ყავს კაპიტალისტი სრულებითაც არ ცდილობს გააუმჯობესოს ტეხნიკა წარმოებისა, რომ ამით შრომა განვითარდეს; ის პრიმიტიული წესით დამუშავებულ საქონელზედაც ვეება პროცენტს იღებს. შინაური ბაზარი ამ ერთ მუჭა კაპიტალისტების ხელში ვარდება და ისინიც სარგებლობენ თავის მდგომარეობით და თავის სიმდიდრეს მატებენ; რასაკვირველია, ეს მომხმარებელთა ჯიბეებს აკლდება. რუსეთის კაპიტალი, მაგ., შაქრის წარმოებაში ჩვეულებრივად 70% მოგებას იღებს, მაშინ როცა მისი მოძმე ევროპიელი 34% კმაყოფილდება. ამას ხელს უწყობს მეორე გარემოებაც. თუ უცხოელ მეტოქესაგან ადგილობრივი მრეწველი უზრუნველყოფილია პროტექციონიზმის წყალობით, შინაურ კონკურენციისაგან იგი

თავისუფლდება სინდიკატების დაარსებით. სინდიკატები წარმოადგენს რომელიმე ერთი დარგის, მაგ., რკინის, ქვა-ნახშირის, შაქრის და სხვა მწარმოებელთა შეერთებას, შეკავშირებას, რასაც მიზნათ აქვს ფასის გაწესრიგება. ხოლო ეს ფასის გაწესრიგება ყოველთვის მრეწველთა სასარგებლოთ ხდება, ხოლო მომხმარებელთა ჯიბეებისათვის კი საგრძნობელი ზარალი მოაქვს. სინდიკატი, ერთი სიტყვით, ნიშნავს ბაზარზე კაპიტალისტთა სრულ გაბატონებას. თუ აქამდი ბაზარი ბატონობდა მწარმოებელზე, დღეს თვით ისინი განაგებენ ბაზარს. ამით ყოველი საქონლის ფასი იწევს შინაურ ბაზარზე და ხშირათ ისეთ კურიოზებს გვაძლევს, როგორც, მაგალითათ, რუსეთის შაქრის ისტორია. ეს შაქარი, რომელიც ჩვენში 15—17 კაპეიკათ იყიდება გირვანქა, ინგლისის ბაზარზე გატანილი 4—5 კაპეიკათ ფასობს. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ გასატან საქონელზე ბევრგვარი შეღავათებია შემოღებული, მაგ., თავისუფალია სააქციზო გადასახადისაგან, იღებს პრემიას და სხვ. ეს შეღავათი სახელმწიფო მოსაზრებითაა შემოღებული; მისი მიზანია—ადგილობრივ ნაწარმოებს უცხოეთში ბაზარი მოუპოვოს, გავლენა შეაძინოს, რაც რუსეთის ჯერ კიდევ ნორჩ მრეწველობისათვის მეტათ საჭიროა...

მრეწველობის ასეთ დახმარებისათვის, აგრეთვე შინაგან და გარეშე სესხის პროცენტების გასასტუმრებლათ, საჭიროა სახელმწიფო შემოსავალთა პროგრესიული ზრდა, რომ მან დააკმაყოფილოს გაზრდილი მოთხოვნილებანი მრეწველობისა და სახელმწიფოსი. ამისთვის კი ფინანსთა სამინისტრომ საუმჯობესოთ დაინახა მიემართა ასე ერთხელ ნაცადი ზომებისათვის, როგორიც არის არაპირდაპირი გადასახადები... საზოგადოთ, გადასახადების მძიმე ტვირთი ყოველთვის მომხმარებელთა ჯიბეს აწვება, მათი მომატებით მომხმარებელი საზოგადოების ჯიბე თანდათან ცარიელდება. ეს ითქმის განსაკუთრებით არაპირდაპირს გარდასახადებზე. როგორც სასოფლო კომიტეტების ანგარიშიდან სჩანს, არაპირდაპირი გადასახადის უდიდესი ნაწილი სოფელს აწვება კისერზე, რადგან ასეთი გადასახადი საყოველთაოთ სახმარ ნივთს ედება ხოლმე, აქ ეს გარემოება, რასაკვირველია, ასუსტებს სოფლის მეურნეობას. ამასთანავე რუსეთში სოფლის მეურნეობა აქამდი თითქმის უყურადღებოთ იყო დატოვებული, მის ინტერესებს არავინ იღებდა მხედველობაში და უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო ხელშეკრულობის დროს მისი ინტერესები მივიწყებული რჩებოდა. ასეთი უყურადღებობა, რასაკვირველია, დიდ ხანს ვერ გასტანდა. სოფელში დიდი ხანია იბრძოდა და იბრძვის ახალი და ძველი ფორმა წარმოებისა, ძველი ფორმა დღეს უკვე გამოუსადეგარი გახდა საერთო ეკონომიური განვითარების გამო, ხოლო ახალ ფორმის განვითარებას ხელს უშლიდა კანონმდებლობის გაუმჯობესობა. ამ წინააღმდეგობათა გამო სოფლის მეურნეობა დიდ განსაცდელში ჩავარდა. სოფელი გაღარიბდა. ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა მოუსავლობამ და შიმშილობამ, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ხრონიკულათ მეორდება. სოფელმა ველარ შესძლო ყველა თავის მცხოვრებლების გამოკვება და აუარებელი მუშა ხელი ცარიელზე დასვა. სოფელში უსაქმოთ დარჩენილმა ხალხმა ქალაქებს მიაშურა დღიურ საზრდოს მოსაპოვებლათ, მარა იქაც არა უკეთეს მდგომარეობაში ჩავარდა. მრეწველობა, რომელიც წინსვლის, გაფართოვების მაგიერ, ერთ დონეზე შეჩერებულია, ნახევრათაც ვერ იტევს განთავისუფლებულ მუშა ხელს და აუარებელი მშრომელი ხალხი უსაქმო მუშათა არმიას მიემატა. ამ გვარ პირობებში, ცხადია, ხალხი ვერ შეძლებდა გადასახადების და სხვა სახელმწიფო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას; გადაუხდელი გადასახადის რაოდენობა ბევრათ მეტია გასულ წელს, ვინემ წინა წლებში. ამ არანორმალურმა პირობებმა [illegible] ხელი შეუწყვეს საშინელი კრიზისის დატრიალებას [illegible], რომელიც სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მყოფ მეტალურგიის წარმოებიდან დაიწყო, და ყველა დარგს ელვის სისწრაფით მოედვა. ამ კრიზისმა და შიმშილობამ, რომელიც გასულ წელს 22 გუბერნიაში მძვინვარებდა, გამოახელიეს საზოგადოებას თვალები და აუცილებელ გადასაწყვეტ კითხვათ წამოუყენეს „ყოფნა ან არ ყოფნა“ რუსეთის ეკონომიური ცხოვრებისა. ამას მოჰყვა საზოგადოებრივ ძალთა გამოღვიძება და ეკონომიური ცხოვრების გასაუმჯობესებელი ზომების შესამუშავებლათ თათბირების გამართვა. ასეთ თათბირთა შორის საზოგადოებრივი ინტერესი აქვს: 1) შინა მრეწველთა კრებას პეტერბურგში წარსულ აპრილში; 2) სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებს და მთავრობის განკარგულებებიდან დამშეულ გუბერნიების გამოსაკვებათ მიღებულ ზომებს. შინა მრეწველობა, როგორც წვრილი წარმოება, მეტად გაჭირვებაში ჩააგდო მსხვილი წარმოების კონკურენციამ. ამასთანავე მთავრობის მფარველობა უმთავრესათ მეორეს ხვდა და ამან კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა შინა მრეწველი, ის თანდათან მოსპობის გზას დაადგა ყველა იმ რაიონებში, სადაც მსხვილმა წარმოებამ ფეხი მოიკიდა. ერობას არც საშვალება ჰქონდა, რომ დახმარება აღმოეჩინა შინა მრეწველობისათვის და მისი უფლებების შეზღუდვის შემდეგ ბევრი ხალისიც კი დაკარგა ერობის სამსახურისა. ყველა ეს გამოააშკარავა შინა მრეწველთა კრებამ, რომელმაც სხვათა შორის შემდეგი რეზოლიუცია შეიმუშავა: 1) შინა მრეწველობის გასავითარებლათ და გასაძლიერებლათ საჭიროა ფართო სამოქმედო ასპარეზი დაეთმოს საზოგადოებრივ ინიციატივას, საჭიროა გაფართოვება საზოგადოებრივი თვით-მართველობისა. ხოლო ამ დაწესებულების შრომა მხოლოდ მაშინ იქმნება ნაყოფიერი თუ არჩევნების უფლება გავრცელებულ იქმნა საზოგადოების ყველა ნაწილებზე, 2) საჭიროა გლეხებისათვის ისეთივე უფლებების მინიჭება, როგორც ეს სხვა წოდებებს და კლასებს აქვს, ე. ი. მათი სრული გათანასწორება კანონის წინაშე, 3) მრეწველობის გასაძლიერებლათ პირველ ყოვლისა საჭიროა კერძო ინიციატივის გაძლიერება, საჭიროა პიროვნებისათვის სრული თავისუფლების მინიჭება; ეს კი მოითხოვს ა) განვითარების, განათლების გავრცელებას ხალხში, რის მიღწევა შესაძლებელია საზოგადო სავალდებულო სწავლის შემოღებით, ბ) სამართლიანობის უზრუნველყოფით და სხვ.

არა ნაკლებ საყურადღებოა სასოფლო სამეურნეო კომიტეტების მოქმედება. სოფლის მეურნეობა, როგორც ზევითაც შევნიშნეთ, ძლიან დაცემულია, მიწათმოქმედთა სიღარიბე-სილატაკე სოფლათ დღეს საზოგადო მოვლენათაა გადაქცეული, და რადგან დიდი უმრავლესობა რუსეთის იმპერიისა მიწათმოქმედებით ცხოვრობს, ეს საკითხი საზოგადო სახელმწიფო საკითხათ ხდება. ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი სოფლის დაქვეითებისა მდგომარეობს იმ წინააღმდეგობაში, რომელიც არსებობს სოფლის შორის, ერთი მხრივ თვით ეკონომიურ ფორმათა (ძველ და ახალ) შორის, მეორეს მხრივ. მიზეზი, როგორც ხედავთ, მეტათ ღრმაა და ითხოვს ძირითად ცვლილებებს, რადიკალურ საშუალებებს. სასოფლო საჭიროებათა რჩევამ კი სხვანაირათ შეხედა ამ საკითხს, მან მოუხერხებლათ ცნო ამ საკითხის ფართო ნიადაგზე დაყენება, რადგან ეს კითხვა დაკავშირებულია მთელ სახელმწიფო ცხოვრებასთან და ამას შეუძლია მეტათ გააგრძელოს

საქმის გამორკვევა. სასოფლო მეურნეობა კი ეხლავე თხოულობს გასაუმჯობესებელ ზომებს. ამიტომ ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწვეულ სასოფლო სამეურნეო კომიტეტებს დაევალათ სოფლის მეურნეობის მიზეზების გამოკვლევის და მის დასახმარებელ ზომების შემუშავების დროს მხედველობაში ქონდეთ უახლობელესი და უსაჭიროესი მოთხოვნილებანი სოფლის მეურნეობისა. ადგალობრივი კომიტეტი შესდგება გუბერნატორისა, გუბერნიის წინამძღოლისა და საზოგადოთ ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელებიდან, ხოლო წარმომადგენელნი ერობისა და საზოგადოთ იმ წრისა, რომელიც ყველაზე ახლო დგას სასოფლო მეურნეობასთან და კარგათაც აქვს შესწავლილი მისი ავ-კარგი, ამ კომიტეტებში მონაწილეობიდან თავისუფალი არიან.

ამგვარ პირობებში, რასაკვირველია, ძნელია ისეთი რადიკალური ცვლილებები მოხდეს სასოფლო მეურნეობაში, როგორიც აუცილებლათ საჭიროა მისი სენის განსაკურნებლათ. საყურადღებო აქ მხოლოდ ისაა, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი კითხვის გადასაწყვეტათ რჩევამ უარყო წინანდელი კარჩაკეტილობა, როცა ყოველივე მინისტრთა წრეში წყდებოდა, და საჭიროთ დაინახა საზოგადოებრივ ძალთა დახმარებისათვის მიემართა. ამ გარამოების გამო ბევრი პრესაში იმ აზრს დაადგენ, რომ ჩვენ ხელახლა მოვესწარით 1861 წლის მსგავსს მომენტს, როცა საზოგადოებრივი დახმარებით გადაწყვეტილ იქნა მძიმე საკითხი ყმათა განთავისუფლებისა. მაგრამ დღევანდელი კითხვები იმდენათ რთულია და ძლიერია, რომ მათი წინანდურათ გადაჭრა საეჭვოთ უნდა ჩაითვალოს. ახლა საჭიროა ხალხის რაც შეიძლება მეტი თვითმოქმედება იქმნას აღძრული და სარბიელზე გამოწვეული, რომ ამით ოღნავათ მაინც შემსუბუქდეს დღევანდელი საზოგადო კრიზისი და ცხოვრებაც რაიმე გაწესრიგებულ კალაპოტში ჩავარდეს. ყოველ შემთხვევაში სასოფლო კომიტეტების სხდომები ჯერ არ დამთავრებულან, და რას მოგვიტანენ ისინი, ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

---

## სხვადასხვა ამბები.

ამას წინეთ თფილისში ჩამოუყვანიათ ერთი გურული ბავში, გვარათ მოლოზონია, 13-14 წლის ეს ბიჭი ერთ ოჯახში თვეში მანათათ დამდგარა მოსამსახურეთ. ოთხ თვეს მდგარა საწყალი, ეხლახან ავად გამხდარა, ძრიელ შეწუხებულა, ჯერ ისევ მოურჩენელი და მასთან ტიტველ-შიშველი ბავში შინ გაუგზავნიათ. ბილეთი აელო ალას დ ათი შაურიც ფულათ მიეცა. ამდენი ხნის ნამსახურმა ბიჭმა თფილისში შეიძინა მძიმე ავათმყოფობა და მხოლოთ შინ დასაბრუნებელი ფული. ამნაირათ შინიდან ჯანსაღაი წამოსული შინ სნეული დაბრუნდა.

---

კვირას, 23 თებერვალს, ქართული დრამატიული დასი ისევ დაიწყებს წარმოდგენების გამართვას თფილისში, წარმოდგენილ იქნება ისტორიული პიესა; დასში მოწვეულნი არიან ზოგიერთი მსახიობნი ქუთაისის დასიდან.

---

ქართული თეატრის მსახიობთ ბბ. აბაშიძეს და მესხს შეუდგენიათ დასი, რომელიც მომავალ გაზაფხულს და ზაფხულს გაემგზავრება საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში წარმოდგენების გასამართავათ. დასში მონაწილეობას მიიღებენ ქქ. ეფემია მესხისა, ტასო აბაშიძის ქალი, ბბ. მესხი, აბაშიძე და სხვანი.

---

ვენიდან დეპეშით იუწყებიან: „ვლ. ალექსი-მესხიშვილს ყელში ამოსჭრეს ხუთი დიდი მუწუკი, რის გამოც სუნთქვა მაშინვე გაუადვილდა. პირველ ოპერა[illegible] შედეგი მოყვა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

კავკასიის გამოფენის გამგეობის თხოვნაზე, კავკასიის გამოფენისაგან დარჩენილ ვალის ხაზინის ფულებიდან დაკმაყოფილებაზე, ფინანსთა მინისტრს უარი განუცხადებია. როგორც შევიტყვეთ, რამდენიმე კაცს კიდეც შეუტანია საჩივარი კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაზე და დარჩენილ ვალების დაკმაყოფილებას თხოვენ სასამართლოს. გამოფენის ვალი სულ 24 ათასი მანეთს უდრის.

---

ქუთაისის ნოქრების მდგომარეობის გამოსარკვევათ ამორჩეულ კომისიას გადაუწყვეტია, რომ კვირა დღეებსა და თორმეტ უმთავრეს დღესასწაულს სავაჭროები მთელი დღით დაიკეტოს, გარდა ისეთი სავაჭროებისა, სადაც სხვადასხვა სანოვაგე იყიდება. კომისია თავის აზრს წარუდგენს ქალაქის მომავალ კრებას 24 თებერვალს.

---

7 თებერვალს პეტერბურგში გაიმართა ქართული საღამო ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ, საღამომ ჩინებულათ ჩაიარა, შემოსავალი ბლომათ დარჩათ.

---

არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო ზალაში 24 თებერვალს გამართული იქნება მუსიკალურ-ვოკალურ-სალიტერატურო საღამო ნაძალადევის უფასო დაწყებით შკოლის სასარგებლოთ. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ. არციბაშევისა, კარამზინისა, ჟუკოვსკისა, ნევტონოვისა, სავიცკისა და ბბ. ბარათოვი, ვეიმანი, პოლივკა, სემიგალოვი, შმიდტოვი და მანდოლინებზე დამკვრელთა ხორო პუგინოვის დირიჟორობით. ბილეთები იყიდება: სუზანაჯიანის სამუსიკო მაღაზიაში, (ერევნ. მეიდანი), ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში იაფ-ფასიან ბიბლიოთეკაში და წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში.

---

კავკასიის საექიმო საზოგადოებას განუხილავს კითხვა, რა საშუალებით უნდა მოეწყოს სოფლათ მცხოვრებლების ექიმობა: საზოგადოებამ, განიხილა რა ეს კითხვა, იმ დასკვნას დაადგა, რომ საქმის მოწყობა შეიძლება მხოლოთ ერობის შემოღებითო.

---

**ოზურგეთი.** 12 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესსიამ გაარჩია აქ საქმე ოზურგეთის მაზრ., სოფ. იანეთში მცხოვრებ მემამულის ბორის პოდკოლზინისა, რომლის გაცარცვა ბრალდებოდა ჩოჩხათის საზოგადოების მცხოვრებს სტეფანე გურგენაძეს. 10 აგვისტოს 1902 წ. გურგენაძე ოცამდი შეიარაღებული ამხანაგებით დილის 6 საათზე თავს დასხმია ბორის პოდკოლზინს. რომელიც დილა. ადრიანათ დადიოდა ეზოში. ყაჩაღები შემოსევია მას და მოუთხოვიათ ფული. ისიც მისძღოლია მათ საწოლ ოთახთან და რომ ცოლი არ დაეფრთხო, დაუძახია: „აგერ საწყალი ხალხია და ფული უნდათო“. პოდკოლზინმა გამოუტანა მათ 700 მან., მარა ამას როდი დაჯერდენ და კასა მოთხოვეს. მანაც ხელმეორეთ აალო ზანდუკის თავი, ამოიღო 4 ბანკის ბილეთი 1000 მან. და ერთიც 500 მ. ყაჩაღებმა ამოაღებინეს მასვე ჯიბიდან ქისა, საცა 65 მან. იყო და ბოლოს განუცხად

ეს

თვის გულუხვ მასპინძელს: „ჩვენ ფული ძლიერ გვეჭირვება, რადგან ჩინოვნიკისაგან ძლიერ შევიწროებულნი ვართ, 10 ჩვენი ამხანაგი ციხეში ზის, იმათი ცოლშვილი შიმშილით იხოცება“, ამიტომ ნურას უკაცრავათ, რომ შენ ქონებას დავეპატრონეთო და გაუდგენ გზას.

გურგენაძეს ბრალი ედებოდა სასჯელთა დებულების 13, 1629 და 1632 მუხ. ძალით. მას იცავდა ქუთაისელი ნაფიცი ვექილი ანტონ გელიაზაროვი. რადგან მოწმეებს ყაჩაღებში ერთი გურგენაძის მეტი ვერავინ ეცნოთ და ამაზედაც სასამართლოში უარი განაცხადეს და მით დაარღვიეს პირვანდელი ჩაჩვენები გამომძიებელთან, სასამართლომ დამნაშავე სრულიად გაამართლა, ხოლო პროკურორს საქმე პალატაში გადააქვს.

## კორესპონდენციები.

**ლანირი** (იმერეთი). ორ თებერვალს შედგა ლანირ-ქუთაირის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის ბანკის წლიური კრება. კრებას დაესწრო ორი მესამედი წევრებისა, აირჩიეს თავმჯდომარე და გაიხსნა კრება. კრების გახსნისათანავე ასტყდა აღიაქოთი: თავმჯდომარემ უთუოთ არ იცოდა თავისი უფლებები, თორემ ან წესიერებას დაამყარებდა და ან ამგვარ ჯოჯოხეთურ კრებას დახურავდა. მარა ის მხოლოთ დრო გამოშვებით აბძანდებოდა და დაბძანდებოდა, თითქოს გიმნასტიკას თამაშობსო. ბოლოს ბევრი კიჟინის შემდეგ კრებას თითქო მორცხვა და როგორც იყო დაწყნარდა. გამგეობამ წაუკითხა მას წლიური ანგარიში ერთბაშათ. რამოდენიმე შეგნებულმა პირებმა სხვადასხვა საკითხი წამოაყენეს გასარჩევათ, მაგრამ ამაოთ. საზოგადოება ყვიროდა: არ გვინდა, არ გვინდა, ყველა საქმეები ძველებურათ დარჩესო, მალე გაათავეთ ეს რაღაც კრებაა და გაგვიშვით სახლშიო. აი სწორეთ აქ კი დავრწმუნდი, რომ ამ ხალხს მართლა არ სცოდნია რა არის კრება, რა გააკეთოს და როგორ უნდა ილაპარაკოს. ამგვარ საზოგადოებას თავის სურვილზე ატრიალებს ორი თუ სამი კაცი, რომლებიც დგანან საზოგადო საქმის სათავეში. ორ თებერვალს ვერაფერი გააკეთეს და კრება გადადვეს მეორე დღისთვის. მეორე დღეს კრებას ცოტა წევრნი დაესწრენ, მაგრამ არც ამ დღეს იყო წესიერება. ერთმა გამგეობის წევრმა დასვა კითხვა, რომ გამგეობას ჯამაგირს თუ მოგვიმატებთ, დავრჩები, თუარა ხელს არ მაძლევსო. კრებამ ბევრი თავის ტეხის შემდეგ მიუმატა გამგეობას ათი მაური. ხელახლავ დაისვა კითხვა: ჯამაგირი თითოეულ წევრს გამგეობისას მიეცეს შრომის დაგვარათო. ამ კითხვამ ისევ ასტეხა კორიანტელი. გაჭირვებით გამოირკვა, რომ ორი წევრი გამგეობის მეტს შრომობს, უმთავრესი საქმეები ამათ აბარიათ და მესამეს კი მხოლოთ კასა. კრებამ მოინდომა მართლაც გამგეობისთვის შრომის დაგვარათ მიესაჯა ჯამაგირი და რამოდენიმე პირმა სთქვეს: ორს წევრს გამგეობისას მიეცეს თითო-თითო მანათი, მხოლოთ მესამეს კი, რომელსაც კასა აბარია, ათი მაური. ითქვა ეს თუ არა, შეტრიალდა მღვდელი (კასირი) წაღმა-უკუღმა და გაბრაზებული იძახდა: ვინ არის, რომ ჩემზე მეტს შრომობსო? ამ კურთხეულის სიტყვებმა ისეთი ყვირილი და კიჟინი გამოიწვია, რომ თითქოს მეორედ მოსვლა მოდისო. ზოგიერთები ყვიროდენ: მღვდელს, ნაკურთხ კაცს, მეტი ეკუთვნის, ვიდრე უკურთხებლებსო. ბევრი წყლის ნაყვის შემდეგ საბრალო კრებამ თვითონ ვერ გადაწყვიტა ეს კითხვა და ამიტომ მიანდო გადასაწყვეტათ რჩევის წევრებს. აი ამნაირათ დასრულდა ეს საარაკო კრება. წლიური ანგარიშიდან სჩანს, რომ 1902 წ. მეტი ხარჯი ქონებია—მაინც მეტი წმინდა მოგება არის 101 მან. 73 კაპ., მხოლოთ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ 1902 წ. გამგეობას ცოტათი მეტი კაპიტალი ქონებია, ვიდრე 1901 წ. გამგეობა ისევ ძველი დარჩა, მხოლოდ რჩევის წევრებში გამოცვალეს ორი. დასასრულ უნდა ვსთქვათ, რომ ლანირს და ქუთაირს ვითომც არც ჰყავდეს მამასახლისი, გზები ისეა გაფუჭებული, რომ ორ საჟენზე შე[illegible]ვლა-მოსვლა. მერმე რას შვრება ნ. მამასახლისი [illegible] ყვება ღელეებს ხონსა და სამტრედიას შუა, ან და სამიკიტნოში ატარებს დროს.

და-ბა.

**ლანჩხუთი.** აქ არსებობს სამკითხველო (თუმცა დღეს დახურულია მთავრობის მიერ დროებით); სასწავლებლები: სამოქალაქო სამკლასიანი, სამინისტრო ორკლასიანი, სამრევლო ვაჟთა, სამრევლო ქალთა ორკლასიანი, სახელოსნო ქალთა; სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, ფოსტა და სხვა დაწესებულებანი—ყველა ამათი დაარსება შესძლეს ლანჩხუთლებმა და პატიოსანი მწერლის შოვნა თუ არა შემთხვევით ვერ შესძლეს. ლანჩხუთში ყოველ წლობით იცვლებოდა მწერალი ლანჩხუთლების საჩივრით. როგორც მკვიდრნი აქაურნი მცხოვრებნი ამბობენ, ამ სოფლის სასამართლოში კანონი დაკარგული იყო მწერლების მიზეზით, მაგრამ დღეს სწორეთ პატიოსანი მწერალი მოგვევლინა. ამისათვის ამა წლის იანვრის 30 რიცხვს სხვადასხვა საქმეების გამო შემდგარმა სოფლის ყრილობამ ასი მანეთი წელიწადში საჩუქრათ აღუთქვა ამ პატიოსან მწერალს, სანამ ამ სოფელში მწერლათ იქნება.

ეს მწერალი გახლავს ჩოჩხათის საზოგადოების გლეხი სამსონ მურვანიძე, ამ სოფელში მწერლათ ყოფილი. წარსულ ზაფხულში მაზრის უფროსის მიერ გადმოყვანილ იქნა თავის სოფლიდან ლანჩხუთში. კარგი იქნება, რომ სხვა მწერლებიც მიბაძავდენ სამსონ მურვანიძეს და შეაყვარებდენ საზოგადოებას თავს და მოსე მწერლობას დაეთხოვებოდენ, თვარა მოსესავით დაუშვებათ ფეხები.

ლანჩხუთლები მარტო ამითაც არ არიან ბედნიერნი—აქ ქალთა სასწავლებლის მასწავლებლებმა-ქალებმა დაარსეს კავშირი და მოიპოვეს წევრები. მიზანი ამათი არის: გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთები და გაავრცელონ ქალთა შორის წერა-კითხვა, მოაგროვონ ღარიბ მოსწავლეთათვის შესაწევარი ფულები, შეამცირონ ქალთა ტანისამოს-მოდებით მდიდრულათ ჩაცმა-დახურვა, რომლითაც ბევრი ცოლიანები ვალებში ვარდებიან და შვილები აღუზრდელი რჩებათ. იმედია, რომ ეს ლანჩხუთის ქალთა კავშირი, დაარსებული ქალბატონი ეკატერინა ფხაკაძისა, პოლინა წილოსანისა და ეკატერინა კალანდარიშვილის მიერ უნაყოფოთ არ ჩაივლის.

სოფლელი.

**შუამთა** (ტობანიერის საზოგადოება). აქ მუდამ ავდარი და ცივი ტაროსებია. ამას მოყვა გზების ძალზე გაფუჭება. ასე რომ ვერსად ქუჩაზე კაცი ვერ გაივლის, თუ მუხლებამდი ტალახში არ ამოისვარა. ამისთვის მიმოსვლა ახლობელ მეზობლებთანაც გასაჭირია. ეს კიდევ არაფერი, რომ ამ ცუდ ამინდებს და სიცივეებთან არ მოუყოლოდა სხვადასხვა ჩამომრები სახადი.

ისედაც მოუწყობელი გლეხი გრძელმა და სუსხიანმა ზამთარმა ძლიერ გააწვალა მას, როგორც ატყობ, არ ყოფნის არც შეშა და არც საქონლის საკვები, რისთვისაც ის იძულებულია ორივე მოიპოვოს მაუხედავათ წვიმიან და თოვლიან ამინდებისა. ამისთვის ის და მისთანა სხვა ბევრი ხშირათ ცივდებიან და ხდებიან ავათ.

ჩვენი საზოგადოება, მოკლებული ექიმთა დახმარებას, თითქმის სავსეა სოფლის ექიმბაშებით. უკანასკნელთა შორის დიდძალი ხალხი მიიზიდა ერთმა ოკრიბელმა დედაკაცმა. ეს ქალბატონი გვეწვია ჩვენ წასული წლის ზაფხულზე. მან მოსვლისთანავე ობობას ქსელსავით გააბა ნათლია-მირონობა, შვილობილ-მა-

მობილობა და კიდევაც დაბინავდა. გავარდა ხმა ხალხში, რომ ეს დედაკაცი კურნებს ყოველგვარ სნეულებას. ასე გამინჯეთ, ბევრს უშვილოს შვილის ყოლასაც კი დაპირდა, თუ კი მას წამალს წაიღებდა. წამალს ეს ქალბატონი ერთ ბოჩკაში ამზადებს მოწითალო ფერისას და ყიდის 1 ბოთლს (ჩარექს) მანათათ. ამნაირათ ეს სოფლის გმირთა გმირი ექიმბაში დღემდისაც ცარცვავს ხალხს, ხოლო უკანასკნელს ეს ვერ შეუგნია და ასე ექპლუატირებს მატყუარა დედაკაცს. სადაა ამ დროს ჩვენი მამასახლისი, რომ ეს ტყვილა-უბრალოთ ხალხის მძარცველი მთავრობას წარუდგინოს და ხალხის გაცარცვის ნება არ მისცეს? მაგრამ არა, მას ამისათვის არ სცალია და რომ ეცალოს, მას ფეხებ'კე კიდია ხალხის ბედ-იღბალი. მას ამისთვის ფულს არავინ მისცემს და აბა თავს რათ შეიწუხებს.

სოფელი შუამთა ითვლება ტობასიერის საზოგადოების შუაგულათ. ამისთვის აქ არის მოთავსებული სოფლის სასამართლო (კანცელარია) და ერთად-ერთი ორკლასიანი სასწავლებელი მთელ საზოგადოებაში. 4–5 საჟენის მოშორებით სასწავლებლიდან იწყება სავაჭრო დუქნები. ამათში დღემდის სამიკიტნოები შეადგენდენ უმეტესობას, ხოლო დღეს ერთიღა ვაჭრობს, რადგან სხვებს მიმდინარე წლისათვის ვაჭრობის ნება (პატენტი) არ აუღიათ, ხოლო მზათ არიან კი, თუ რომ საზოგადოებამ ნება მისცა და განაჩენი დაუდგინათ. უნდა სისწორით ვსთქვა, რომ ჩვენებურ ხალხს არ მოუპოვება ისეთი კულტურული დაწესებულებები, როგორც, მაგ., წიგნთსაცავ-სამკითხველო, საკვირაო სკოლა, სახალხო კითხვები და სხ. ამიტომ ჩვენებური ხალხი ეტანება სამიკიტნოებს და მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს. იმედია ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს, როგორც ხალხის, აგრეთვე მთავრობის, და სამიკიტნოების გაღების ნებას არავის მისცემენ, რადგან მათ საზოგადოებისათვის ზარალის მეტი არა მოაქვთ რა.

ჩვენში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი. ერთი პედაგოგი ამ სასწავლებლისა ღებულობს გაზ. ,,შავი ზღვის უწყებებს'' (Чернм. вѣст.) და როცა წარსული წლის ნომრებს თავი მოუბეზრებია მისთვის სიძველით თუ უშინაარსობით, მას, მის მაგიერ, რომ სანაგვეზე გადაეყარა მისთვის და სხვისთვისაც ყოვლად გამოუსადეგარი, სანახევროთ დახეული გაზეთის ნომრები, დაურიგებია მოწაფეებისათვის ფასათ, მაგრამ ფულზე კი არა კვერცხებზე. მოწაფეები სიხარულით ასრულებენ ენაწყლიან მასწავლებლის მოთხოვნილებას და უმრავლესობა დედ-მამის უკითხავათ, უკეთ რომ ვსთქვათ, ნამალევ-ქურდულათ ინახვენ კვერცხებს და მიაქვთ მასწავლებელთან. რა შედეგი მოჰყვება ასეთ აღზრდას, მკითხველმა თვითონ იფიქროს, მე კი დანამდვილებით ვიცი, რომ ერთ-ერთ მოწაფეს, შინ რომ ვერაფერი უხელებია რა, მეზობლის სასხლიდან გამოუტანია კვერცხები.

რომ უძლიერ სოფელში არ ეგონოს თავი პატივცემულ პედაგოგს, მე იძულებული ვარ ვამხილო მას, რათა შემდეგში მაინც პატიოსნათ მოეკიდოს თავის მოვალეობას.

,,ი''.

—

**სურამი.** აი ერთი მაგალითიც, რომელიც ნათლათ ამტკიცებს ჩვენებურ ზოგიერთ ვაჟბატონთ ,,საქმეთ საგმიროთა''. ამას წინეთ სურამის უმთავრეს ქუჩაზე იტრიისაკენ მარტო-მარტო მიდიოდა იტრიის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ქალი. ქუჩაზე მას გვერდით ჩამოუარა აქაურმა მცხოვრებმა აზნაურმა მიშა აბაზაძემ, რომელმაც ქალს ახედ-დახედა და, რა დაინახა, ქალი მარტოკა მიდისო, გაიფიქრა, რატომ არ უნდა ვისარგებლო მარჯვე შემთხვევით და უმწეო ქალი კოცნით არ გავაბედნიეროო. ამ ვაჟბატონმა გაიფიქრა ეს და კიდეც შეასრულა. ქალს გული შეუწუხდა და ძლივს მოასულიერეს. ეს საქმე კიდეც გაარჩია აქაურმა მომრიგებელმა მოსამართლემ და ურცხვ აზნაურს მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება 3 თვით. აზნაურს არ მოეწონა ასეთი განაჩენი მოსამართლის, და, როგორც ამბობენ, საქმე ოლქის სასამართლოში გადააქვს და ამასთანავე შუამავლებს უგზავნის ქალს, რათა [illegible] ლმა არ ინდომოს მისი ჩამწყვდევა ციხეში და ამ[illegible] ეს ამ ვაჟბატონს სხვა ქალების კადრულისაც.

აი ეს ამბავი გამხდარა დღეს სურამელების მსჯელობისა და ლაპარაკის საგნათ.

აქეთ ძალიან დიდი თოვლია, რის გამოც ბევრჯელ სოფლებში გზები შეიკვრება ხოლმე.

ს. არდაძე,

## რუსეთის ცხოვრება.

როგორც ,,Русск. Вѣд.'' იუწყება, ბევრმა ხელოსანთა თვითმართველობამ მიმართეს თხოვნით შინაგან სამინისტროს და სთხოვეს გამგეობასთან სახელოსნო სასამართლოს დაარსება. მოსამართლეებათ უნდა იყონ თავმჯდომარე, ორი წევრი გამგეობისა და ორი ასისტენტი ხაზეინების მხრივ და ერთი მუშების ან შაგირდების წარმომადგენელი. მათ უნდა გაარჩიონ ყველა საქმეები, რომლებიც შეეხება სახელოსნო დადგენილებათა დარღვევას შესახებ მუშათა და შაგირდთა დაქირავებისა და ანგარიშის გასწორებისა, შეკვეთილი საქმის გაფუჭების ან ვადაზე გაუკეთებლობისა და სხვა.

— ,,Фин. газ.'' იუწყება შემდეგს: 30 იანვარს ამა წლისა ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესათ კეთილინება სამსახურიდან დათხოვა თხოვნისამებრ ფინლიანდიის 4 გუბერნატორისა: აბობორნებორგის გუბერნატორისა გენერალ მაიორის ვილგელმ ტეოდორის ფონ კრემერის, სანმიხელსკისა—ნამდვილ სტატსკი სოვ. ლეონარდ-ფრიტიოფ მუნკისა, ვაზის ოტსტავნოი პოლკოვნიკს ფრედერიკ-ვერონიმ-ბურნბერგისა და ულეაბორგის გ. თან. ადმ. პოლკოვნიკის ვნუტ-გუსტავ-ელისსა—ედუარდ ფრუგელმისა, ამ უკანასკნელის გენერალ მაიორის ჩინით და მუნდირით. ამ 4 გუბერნატორის დათხოვნის მიზეზი ისაა, რომ მათ უმაღლესათ გამოცემულ მანიფესტის წინააღმდეგ ულაპარაკნიათ ეს მანიფესტი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებას ეხებოდა ფინლიანდიაში. რადგან ფინლიანდელებმა გასულ წელს წინააღმდეგობა გაუწიეს ამ კანონს, და ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ სამსახური თავიდან აეცილებიათ, ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორმა წინადადება მისცა გუბერნატორებს ზოგიერთი ზომები მიეღოთ ამ ურჩობის მოსასპობათ. მაგ. პირადათ და მოსამსახურეთა დახმარებით უარეყოთ საზოგადოებაში გავრცელებული ცუდი ხმები სამხედრო სამსახურის შესახებ, თავის დროზე შეედგინათ და გადაეცათ დანიშნულებისამებრ მოსაწვევ პირთა სია, თვითონ დასწრებოდენ მოწვევის დროს, სამხედრო სხდომის წევრებათ საიმედო პირები დაენიშნათ და ემოქმედათ ყოველგვარი ზომებით აგიტატორთა ძალმომრეობით მოქმედების წინააღმდეგ და სხვ.

ამაზე თითქმის ერთსა და იმავე დროს 5-მავე გუბერნატორებმა ერთნაირი მოხსენება მიართვეს გენერალ-გუბერნატორს, ამ მოხსენებაში ისინი ერთხმათ აღიარებდენ, რომ 1902 წ. სამხედრო სამსახურში გაწვევის საქმე არ შეუფერხებია რევოლიუციონერთა აგიტაციას. არამედ ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ფინლიანდიის ხალხს შეგნებული აქვს თავისი უფლებები, მას ფინლიანდიის კანონების დარღვევათ მიაჩნია ის გარემოება, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური შემოღებულ იქნა 1899 წლ. 3 თებერვლის მანიფესტის ძალით და არა ფინლიანდიის სეიმის გადაწყვეტილებით. ამიტომ ხალხის დასამშვიდებლათ მხოლოთ ისაა საჭირო, რომ ეს კანონი დამტკიცებულ იქნეს ფინლიანდიის სეიმისაგან. გუბერნატორები თხოულობდენ დასასრულ, რომ მათი მოსაზრება უქვეშევრდომილესათ მოხსენებოდა მათ იმპერატორებით უმაღლესობას. „მათი სურვილი“, დასძენს გაზეთი, სავსებით იქნა

სისრულეში მოყვანილი და შემდეგ ამისა პროტესტანტები იძულებული გახდნენ სამსახურიდან გადამდგარიყვნენ.

— სამშაბათს 11 თებერვალს სასახლის საიმპერატორო თეატრში წარმოდგენა იყო და წარმოდგენის შემდეგ საცეკვაო კოსტიუმებიანი სადამო გაიმართა. სადამოს ათ საათზე გამობრძანდა მათი იმპერატორებითი უმაღლესობა და მას გამოყვენ სვიტა, სეფე-ქალები და სხვა უმაღლესი საზოგადოების წარმომადგენელნი. ხელმწიფე იმპერატორს ეცვა მეფე ალექსეი მიხეილის ძის ტანისამოსი; კავტანი ოქროს ფარჩისაგან მოქსოვილი; ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული მეფე ალექსი მიხაილის ძის პირველ მეუღლის მარია ილინიშნის კოსტიუმში იყო გამოწყობილი; ფარჩის ტანისამოსი ოქრო და ვერცხლით იყო მოქარგული და მრავალი ბრილიანტებით და ძვირფასი თვლებით შემკობილი. დიდ მთავრებს ძველი დიდი მთავრების ტანსაცმელი ეცვათ, დიდ-მთავრინებს—დიდი მთავრინების. დამსწრე ჯარის ნაწილებიც 16 საუკუნის მსროლელთა, ზაპოროჟელებისა და სხვა ფორმებში იყვნენ გამოწყობილი; ხორო ძველებურს სიმღერებს უკრავდა, საერთოთ საღამო ძველ მე-16-ე საუკუნის დროს მოაგონებდა კაცს.

— „კიევლიანინ“-ის სიტყვით, ვოლინელ ეოკლად სამღვდელო ანტონის ასეთი ცირკულიარული წინადადება მიუცია თავის სამწყსოს სამღვდელოებისათვის: როგორც მესმის, ბევრი მღვდელი მღვდელ-მსახურების აღსრულების სასყიდლათ არაფს იღებს, თუმცა ამგვარი სასყიდლის აღება აღკრძალულია. მღვდლები ამ შემაძრწუნებელ სისაძაგლეს ჩადიან და თავს იმართლებენ სამღვთო წერილის სიტყვებით: „უოკვლივე მოცემა კეთილ არს“. უწმიდესი სინოდი მღვდლებს ავალებს, სიფხიზლის საზოგადოებანი დაარსეთო და მღვდლები კი თვითონ ყიდიან თავის სახლში არაყს, იმ არაყს, რომლითაც კაჭრობა საერო კაცისათვისაც აღკრძალულია უპატენტოთ. ამისთანა სისაძაგლე თუ კიდევ შევამჩნიე რომელსამე მღვდელს, სამსახურიდან დავითხოვო“...

— პეტერბურგში შემდგარა მუშათა საურთიერთო დაზღვევის გამწესრიგებელი კომისია. ამ კომისიას დაუდგენია, რომ დამზღვევ კასაში საწევრო ფული უნდა განისაზღვრებოდეს 1—3% მუშის წლიურის შემოსავლისა. დამზღვევ კასას უფლება უნდა ექნეს იმ ხარჯების დაფარვისა, რომელიც დასნეულებულთა ოჯახობის შესანახათ დაიხარჯება. შემწეობის მიღების უფლება აქვს ყველა წევრს დღიდან წევრათ ჩაწერისა. დეფიციტის დასაფარავი საშუალების შემუშავება თვით კასის საზოგადო კრების მოვალეობას შეადგენს. შემდეგ სხდომაზე გაირჩევა საკითხი კასის ადმინისტრაციის მოწყობის შესახებ.

---

## საზღვარ-გარეთ.

**გერმანია.** გერმანიის რეიხსტაგს შეუსრულდა ვადა, და მომავალ ივნისიდან ახალი არჩევნები დაინიშნება. სადამოჟნო ტარიფის მიერ გამოწვეულმა ბრძოლამ მეტათ გაამწვავა პარტიათა შორის დამოკიდებულება. საით გადიხრის არჩევნების სასწორი, რომელი პარტია მიიღებს უმრავლესობას, აი საკითხი, რომელიც დღეს ყველას აინტერესებს. ამიტომ უადგილო არ იქნება გავითვალისწინოთ არჩევნების შედეგები ამ უკანასკნელ 10 წლის ვანმავლობაში, რომ დავინახოთ, რომელ პარტიის ემატება ძალა და რომელს აკლდება. დღეს, როგორც მოწინააღმდეგემაც აღიარა, გერმანიის ყველა პარტიებში უძლიერესი სოციალ-დემოკრატიული პარტიაა, რადგან მას ემხრობა ყველა რეფორმის მსურველი ელემენტები.

1980 წ. საერთო ამომრჩეველთა რიცხვი 7,228,500 იყო, ამათგან სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდა 1,427,300, ე. ი. 19,44% საერთო ხმებისა. 1898 წელს კი 7,752,700 ხმიდან ერგოთ 2,107,100, ე. ი. 27,18% საერთო რიცხვისა. უკანასკნელ წლებში სოციალ-დემოკრატები თანდათან მეტ გავლენას პოულობენ არა მარტო ქალაქებში, არამედ პროვინციებშიაც. თუ რეიხსტაგში ისინი მაინც უმცირესობას შეადგენენ, ეს იმით აიხსნება, რომ ამომრჩევი რაიონები უსწორ-მასწოროთ არის დაყოფილი და ხშირათ მცირე რიცხოვან ამომრჩეველ რაიონს იმდენივე წარმომადგენელი ყავს, რამდენიც მრავალრიცხოვანს, მაგ., შამბურგის ოლქი 8,997 ამომრჩეველით და ბერლინის ოლქი 142,000-ზე მეტი ამომრჩევლებით თითო წარმომადგენელს გზავნიან რეიხსტაგში. ამ ანომალიის შედეგია, რომ მუშათა პარტია, რომელსაც ამომრჩეველთა 27,18% ხმა აქვს რეიხსტაგში, მხოლოდ 14,11% შეადგენს. კონსერვატორებს კი, თუმცა ამომრჩეველთა 11,08% შეადგენენ, მაინც 13,23% ადგილებისა უკავიათ რეიხსტაგში. კონსერვატიული ცენტრი რეიხსტაგში 25,6%-დი ადის, მაშინ როცა ამომრჩეველთა 18,772 ხმებისას ძლივს იღებს. საერთოთ 1898 წლის არჩევნების შედეგი ასეთი იყო.

| | ამომრჩ. ხმები | | რეიხტ. წევრები. |
|---|---|---|---|
| სოც.-დემოკ. მიიღეს | 2,107,100 | — | 57 |
| ცენტრმა (კათ. პარტ.) | 1,455,100 | — | 102 |
| ნაციონალ-ლიბერალ. | 971,300 | — | 47 |
| კონსერვატორებმა | 859,200 | — | 52 |
| თავისუფ. მოაზრ. პარტ. | 558,300 | — | 27 |
| თავისუფ. კონსერვატ. | 343,600 | — | 2? |
| ანტისემიტებმა | 284,000 | — | 10 |

ამნაირათ 1898 წლის არჩევნებით რეიხსტაგში მოხვდა 102 ცენტრის წარმომადგენელი და 57 სოც.-დემოკრატებისა. რომ დეპუტატთა რიცხვი ამომრჩეველთა რაოდენობაზე ყოფილიყო დამოკიდებული, უკანასკნელთაგან იქნებოდენ 57 მაგიერ 148. ეს უსწორ-მასწორობა შედეგია ქალაქების მცხოვრებთა გამრავლებისა.

**ჩრდ.-ამერიკ. შეერთებული შტატები.** ქ. ნიუიორკში 6 თებერვალს დიდი მიტინგი გაუმართავთ ნიუიორკის შტატში მცხოვრებ ზანგებს, რომელთაც საარჩევნო უფლებები აქვთ; საქმე იმაშია, რომ მთავრობას განუზრახავს მათი საარჩევნო უფლებების შეზღუდვა სამხრეთ შტატებში. მიტინგი ამის წინააღმდეგ შედგა და თავის რეზოლიუციაში დიდ პროტესტს უცხადებს მთავრობას ასეთი განზრახვისათვის. მიტინგმა გადაწყვიტა აგრეთვე იმოქმედოს ვირგინიის კონსტიტუციის წინააღმდეგ, რადგან ამ კონსტიტუციის ძალით ზანგებს უფლება ერთმევათ ამომრჩევლებისა. მიტინგის დასასრულ გამართეს ოვაციები პრეზიდენტ რუზველტის დიდი სურათის წინ.

**ბელგია.** უკანასკნელ დროში ალკოგოლით ხმარება მეტათ გავრცელებულია. ბელგიაში მათი ხმარების გამო არა ერთი და ორი ჯანმრთელი ადამიანი სნეულდება და სამუდამოთ სიცოცხლეს ესალმება. ამიტომ ყველგან საზოგადოების შეგნებული ნაწილი სხვადასხვა ზომებს იღებს ასეთ დამათრობელ სასმელების ხმარების წინააღმდეგ. ასეთ სასმელების ხმარებიდან ყველაზე მეტი ზარალი მდაბიო ხალხსა აქვს, რადგან მას შეძლება არა აქვს თავს ისე მოუაროს, როგორც ამას გიგიენა მოითხოვს. ამიტომ ბელგიის სოციალისტთა დეპუტატებს ამ დღეებში ამის შესახებ ვრცელი მოწოდებით მიუმართავთ ხალხისათვის, რომელშიაც ვრცლადაა გარკვეული ალკოგოლის მავნებლობა ორგანიზმისათვის. მოწოდება ასეთი სიტყვებით თავდება:

,,მეგობრებო, გავიფიცოთ ალკოგოლის წინააღმდეგ, მარგებელი სასმელები ვიხმაროთ დამათრობელ სასმელების

წინააღმდეგ, რომლებიც ჯანმთელობას გვიწამლავენ, არ დაივიწყოთ, რომ ეს დისციპლინა საჭიროა თქვენთვის თქვენივე ინტერესების დასაცველათ. ალკოჰოლის გადავდებით თქვენ გარდა იმისა, რომ უფრო მეტს გამოგლეჯთ ხელიდან თქვენ ხაზეინებს, თქვენ უფრო მეტი საშუალება გექნებათ ორგანიზაციებისათვის, მეტი დრო გონებრივი განვითარების მისაღებათ, თქვენი აზრების გასავრცელებლათ. მაშინ მეტ ენერგიას შეიძენთ თქვენი საკუთარი საქმეების გასაგრძობათ.

---

# დაბრუნება

(მოთხ. ტანის).

დევნილი სამშობლოში ბრუნდებოდა. თავის სიჭაბუკეში გაატარა ფანტასტიურ განმარტოებაში იმ მხარეს, რომელიც უძლეველი დაბრკოლებებით მოწყვეტილია მთელ დედამიწას. განუზომელი მანძილი ხთის მას რაღაც განკერძოვებულ პლანეტათ, ის წარმოადგენს სივრცეში ჩამოკონწიალებულ ერთ დიდ ყინვის ნაკვეთს; ეს განსაკუთრებული ქვეყანაა, თავის საკუთარი ცხოვრებით, არც იცის რა ხთება სხვა ქვეყნებში; უცხო ქვეყნის მცხოვრებნი იმდენათ იცნობენ მას, რამდენათაც მთვარეს. ამ მხარეს უკუნით ბნელეთი აღგია. მხოლოდ ოდნავ თუ ჩააშუქებს იქ ის სინათლე და სითბო, რომლითაც ცხოვრობს კაცობრიობა; ეს შუქი იქაურ მოქუშულ ცაზე მკრთალათ, მხოლოდ საიდუმლოებით მოცულ მოჩვენებათ გამოკრთის და არავინ კი იცის მისი სათავე. სად არის ვინ იცის, იქნებ ეს სხივები ამ უკუნით ბნელეთში მხოლოდ იმისთვის ჩნდებიან, რომ სრულიად უიმედოთ არ დააგდონ ტყვეობისაგან დახავსებულნი და გაბოროტებულნი.

დევნილი როცა ამ მხარეს პირველათ მოვიდა, იყო ახალგაზდა, თითქმის ბავშვი. უკან კი ბრუნდებოდა მოტეხილი, მოხუცებული, როგორც ამას მისი გამელოტებული თავი და საფეთქლებზე ჩამოშლილი ჭაღარა მოწმობდა. ნაზი, სიჭაბუკის ღიმილი დიდი ხანია გაქრა; დარჩა ყოველგვარ უამინდობისაგან და ქარისაგან გაქვავებული სახე.

ამ საარაკო მანძილის გავლას პირველათ დევნილმა მთელი წლები მოანდომა. ეხლა შეეძლო მეტი სიჩქარით მოგზაურობა, მარა ამით მანძილი არ შემოკლდებოდა და მის გავლას წლები თუ არა, თვეები მაინც მოუნდებოდა. დევნილი მთლათ ჩაყურყუმელავდა სამზადისში და იმ მცირე უსიამოვნებებში და შემთხვევებში, რომელიც აუცილებელი თანამგზავრია მოგზაურობისა. დღითი დღე თანდათან ითრევდა მას მოგზაურობის პროცესი, უმთავრეს ცხოვრების ფუნქციათ მოძრაობა შეექნა და ახალ-ახალ ბინაზე მისვლა სანეტარო მიზნათ.

დევნილი მიდიოდა და მიდიოდა. ჰავა ჰავას ცვლიდა, ბუნება ბუნებას; მგზავრობის მიზანი კი ისევე შორს იყო, როგორც პირველ დღეს. შორს, შორს იყო შესული ამ მოჯადოებულ ქვეყანაში, დიდხანს ვერ გამოაწია! დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას და მის წინ კი ისევ ის უსიამო სურათები იშლებოდა, ისევ თეთრ ფიფქ თოვლის სუდარაში გახვეული ველები! მათი ერთი შეხედვაც კი კანკალს გვრიდა. მდინარეები ისე იყო ჩარკინული ყინვით, თითქო საუკუნოებიც ვერ შეარყევდა; მცენარეებს ძალა არ ქონდა აემართა თოვლის ვეებერთელა ქულებით დაძანძული შავი ტოტები.

დევნილი მიდიოდა და მიდიოდა. ცივი ქვეყნების მკვიდრთაგან მოშინაურებული ცხოველები მას ბევრგვარ სამსახურს უწევდენ: მგზავრობდა ჯერ ძაღლების, შემდეგ ირმების და ცხენების საშუალებით. ხშირათ მოუხთებოდა ისეთ ციცაბო კლდის მწვერვალებზე გადასვლა, რომელიც არა თუ მოკლებული იყო ყოველგვარ მცენარეულობას, თოვლის სუდარასაც კი არ აყენებდა სასტიკი მთის ქარი. მთელ დღეებს ანდომებდა უზარ-მაზარი ტყეების ვიწრო ბილიკებით [illegible] და თვალუწვდენელი ჭაობების გავლას, სად[illegible]რეც ყინვის გავლენით ქვათ გადაქცეულიყო.

დევნილი მიდიოდა და ფიქრობდა... რა მოიტანა თან ამ მხარეს? მას აქეთ დიდმა ხანმა განვლო, დაავიწყდა კიდეც! აი ეხლა მოაგონდა, და იგრძნო სიმწვავე სამუდამოთ დანაკარგი რაღაც განძის, რომელიც აძლევდა აზრს და მიზანს და სიცოცხლეს და ურომლისოთ სიცოცხლეც აღარ ღირდა.

ამ უბედურმა წლებმა მრავალ-მხრივ გაანადგურა მისი სულიერი ცხოვრება, მაგრამ ამისდა მიუხედავათ, ხანდახან ეჩვენებოდა, რომ იქ სულის სიღრმე ხელ-უხლებელი დარჩა და შეუძლია ხელახლა აღორძინება; ეჩვენებოდა აი თითქო კიდეც გრძნობს ამ ვანახლების დასაწყისს. ეხლა, როცა მიზანი წინ ედვა, რომლის მიღწევა ისე ადვილი იყო, რომ მხოლოთ გეოგრაფიული ხასიათის დაბრკოლებით ძნელდებოდა, დევნილი გრძნობდა თითქო საიდგანღაც მის გაქვავებულ გულში ეჩქეფებოდა ზვირთი თფილი იმედიანი გრძნობის და მისი სიჭაბუკე, მოკვეთილი განთიადის დროს, ჩანთქმული მკაცრი ყინვებისაგან ისე უდროვოთ, რომ ვერ მოესწრო ვერც ერთი მწვანე ყლორტის გამოღება, ეხლა გაბოროტებული კვლავ ითხოვდა მოქმედებას ცხოვრების სარბიელზე.

დევნილი წამით ყურს უგდებდა ამ მშფოთვარე მოწვევას; სრულიად ნებდებოდა აბობოქრებულს, მაგრამ ტკბილს ოცნებას და შემდეგ, თითქო გონს მოვიდაო, განწირულებით ოხრავდა და თავის გარუჯულ ღრმათ დაღარულ შუბლზე ხელებს ისობდა. არ იცოდა ცხადი იყო თუ სიზმარი ეხლანდელი მისი გრძნობა; მას აღარ ქონდა ნიჭი სინამდვილე სიზმრიდან გამოერკვია: არ იცოდა ეხლანდელი თავის გრძნობა ჩაეთვალა ოცნებათ თუ განვლილი ათი წელი რეალური ცხოვრებ ს საზიზღარ მის სიცოცხლეს ჯერ შვამდის არ მოესწრო მიწურვა და სამ, ერთი მეორისაგან მკაცრათ განსაზღვრულ ხანათ კი განიყოფებოდა; მათ შორის არ იყო გარდამავალი ხანა. პირველი იყო რუბიკონის გაღმა, დიდი ხნის წარსულში, მეორე ათი წელი სიცივის სამეფოში გატარებული, მესამე კი ეხლა იწყებოდა. პირველი ხანა ნახევრათ დავიწყებას იყო მიცემული; მეორე იარი ხანა კი იბრძოდა, ერთი მეორეს უარყოფდა და ცდილობდა ერთ და იმავე დროს ორივეს დაეკავებია ადგილი მის მეხსიერებაში; დევნილი კი ყოყმანობდა, უმწეო, ორ შეჯახებული გრიგალის მორევში ჩავარდნილ ბუმბლსავით: ხან ცდილობდა უარ ეყო წარსული ტანჯვა, როგორც საზარელი სიზმარი, ხან ეშინოდა ეხლანდელი სინამდვილის და წარსულ მწუხარებათა უფსკრულში ხელახალი ჩაყურჭუმელავების.

დევნილი მიდიოდა და ფიქრობდა როგორ გაატარა ეს წლები? მისი ცხოვრება ამ ხანში წარმოადგენდა ქონებრივ ნაკლებობის ერთ გრძელ ჯაჭვს. სხვისთვის ასეთი არსებობა აუტანელი იქნებოდა, ეს კი შეეჩვია და დიდ ხანს თვლიდა ცხოვრების ნორმალურ პირობათ. ეხლა კი ისე გადავიწყებული ქონდა გაჭირვება, თითქო არასოდეს არ ქონებოდეს ადგილი მის ცხოვრებაში. იმისთვის რომ შეერჩინა სიცოცხლის ნაპერწკალი, რომელიც ნაბოძები აქვს ყოველ თვითმოძრავს, დევნილს უნდა შეეკვეცა მრავალი თავის მოთხოვნილება; ასეთმა უარყოფამ გარეგნულათ ქვის საუკუნის მოუხეშავ ველურ ადამიანს დაამსგავსა, მაგრამ ასეთი ცხოვრება უტანჯველათ და უდრტვინველათ აიტანა და ადრინდელი ცხოვრების დაბრუნება თითქმის არც კი გახარებია. ამაზე არც უფიქრია არას დროს. გარემოებას და ბუნებას მას

ში ჩაენერგა ისეთი ღრმა და მაგარი ხასიათი, რომ უუბედურეს წუთებშიაც კი მზათ იყო საუკუნოთ ეტარებია ეს თავისი მწუხარება, ოღონდ ამით კი შესძლებოდა თავი დაეღწია დევნილის სევდიან და მგლოვიარე ხვედრისაგან. მზათ იყო ეხლაც ესაზრდოვა გამხმარი პურით, ეხლაც დაეღლიტა ხელები შავი მუშაობით, დაეუძლურებია სხეული წყლულით და ჯაჭვებით, თუ კი ამით შესაძლებელი იქნებოდა დაკმაყოფილება იმ კითხვებისა, რომელიც სწვავდა მის სულსა და გულს.

როგორ გაატარა ეს ხანგრძლივი დრო? მის გარშემო იყო სიცალიერე, მხოლოდ უჰაერო სივრცე; მის გარშემო არ იყო ისეთი რამ, რასაც შესძლებოდა მისი ყურადღების მიპყრობა. თუმცა იქაც კი იყო რაღაც ბუნდოვანი კითხვები. რომელზედაც შეეძლო დამყარება და რაიმე მსგავსი საქმისა და ინტერესების გაჩენა, მაგრამ დევნილი მათ აგდებით პირს უქცევდა. როგორც გარეული ფრინველი გალიაში მომწყვდეული, დაჟინებით თვალს არიდებდა მის შემზღუდავ შავ კედლებს და აპყრობდა იქით, სიდანაც აშუქებდა ერთი იმ სხივთაგანი, რომელიც აცისკროვნებდა მის წარსულ, თავისუფალ ასპარეზს, პირველ ხანებში დევნილი ცხოვრობდა მოგონებით, სანამ ის შერჩა და მისი სახება არ წაიშალა. შემდეგ ცდილობდა ეცხოვრა იმ შუქით, რომელიც ჩამოაღწევდა ამ შორეულ სიბნელეში, და ამბებით, რომელიც მრავალგვარ დაბრკოლებას გაივლიდა, სანამ მის სმენას მოხვდებოდა, მაგრამ ყველა ეს ისეთი არეულ-დარეული და გამოურკვეველი იყო, რომ დევნილს სრულიად დაეკარგა მათი გაგების ნიჭი.

იქ, ფართო ველზე ჩქეფდა ადამიანთა მრავალ-გვარი სიცოცხლე. მას არ ჰქონდა არც დასაწყისი, არც ბოლო. მისი ახალი ყლორტები მწვანე ხავსის ტოტებივით ერთი მეორეში იხლართებოდა. ქარი დაქროდა და ისიც მის წინაშე იზნიქებოდა და კვალდაუმჩნევლათ კვლავ იმართებოდა. წვიმა, სეტყვა და გოლვა ერთი მეორეს ენაცვლებოდა, ველი ყველაფერს მოთმინებით და უწყინრად იტანდა, როგორც ბუნება, რომელმაც აღმოაცენა ეს მოვლენები თავის მკერდზე. წლიდან წლობით ველი სიტყვით და კეთილი საქმით ითესებოდა; სიტყვები ყვავილათ აღმოცენდებოდა, მაგრამ მისი ნორჩი კვირტები ადამიანთა ხშირ ზურმუხტ ყლორტებში იხშობოდა და ვერავის გამჭრიახი თვალები ვერ გამოარჩევდა მათ საზოგადო ერთფეროვნებისაგან; საქმეც ატანდა მშრალ ნიადაგში, როგორც მაცხოველებელი ნაკადული, მაგრამ თვით უუმახვილესი სმენაც კი ვერ მისწვდებოდა ამ გამაცხოველებელ წყნარ ჩუხჩუხს. ის მიწოჟავდა შეუმჩნევლათ სადღაც დედამიწის ნახვრეტებში. ქარი წამოჰკრავდა ფრთოვან სიტყვებს, გააქანებდა, სიტყვები განიერ დიდ წრეებით გასცურდებოდა, დნებოდა და უერთდებოდა ველის მძინარა ბუტბუტს და მის გამოურკვეველ ხმაურობას. ქარის წაღებით სიტყვები გამრავლდა, ბუნებამ მას ხმა მისცა და გაისმა ეს ხმა დასავლეთს და აღმოსავლეთს; აი ეხლაც დევნილს თითქო ესმოდა ბუტბუტი ამ ნახევრათ დავიწყებულის, მაგრამ ოდესღაც ნაცნობი, დიადი სიტყვების. შემდეგ ყველაფერი აირია და ხმაც მიწყდა. ყვავილი ყვავილს ემატებოდა, და ბოლოს აჭრელდა ველი, მაგრამ არავის არ შეეძლო აემაღლებია ხმა და გამოეცხადებია გაზაფხული დგება ქვეყანაზეო...

უმაძღარი მიწა წინანდებურათ ღებულობდა მებრძოლთ ძვლებს და ცხოვრება იყო, როგორც სფინქსი, რომელიც ეუბნებოდა თვითეულ გამვლელს:

— გამომიცნობ, შეგიყვარებ და გემსახურებიო, თუ არ გამომიცნობ, ჩაგნთქავო...

მაგრამ არავის არ უნდოდა და არც შეეძლო ბრძენი ედიპობა.

დევნილს უყვარდა თავის სამშობლო [illegible], გატაცებულის სიყვარულით, სხვა გრძნობ[illegible]გილი აღარ ჰქონდა. ხშირად მას ეგონა, რომ ეს სიყვარული თანშობილი იყო. სამშობლო იყო მისი სიჭაბუკის საოცნებო საგანი, სიჭაბუკის, რომელმაც ვაიელვა როგორც მეტეორმა და ისეთი მკრთალი კვალიც კი არ დაუტოვებია ქვეყანაზე, როგორც ცისგან მოწყვეტილ ვარსკვლავს. სამშობლო ავსებდა მის არსებას, ყოველგვარ უბედურების დროს მხოლოდ ის იპყრობდა მის სულსა და გულს და უადვილებდა მწარე ხვედრს. დევნილს მეგობარი არ ყავდა. ისინი, ვისთანაც ცხოვრობდა, სრულიად უცხონი იყვნენ მისთვის. დევნილს სატრფო არ ყავდა: ის ქალები, ვინც კი მას შეხვედროდა, ღირსი არ იყვნენ ამ სახელის, წყურვილი სიყვარულისა, მის გულში დაბადებული, კი დიდი იყო; დევნილს ცხოვრების მიზანი, ცოცხალი ინტერესები აღარ ჰქონდა; წარსულის სურათები მისი ხსოვნიდან წარიხოცა, დარჩა ერთი დიდებული ხატება, რომელიც თითქო შეიცავდა დანარჩენების შეერთებას. ის მეფობდა მის გონებაზე და გრძნობაზე.

უყვარდა სამშობლო როგორც მეგობარი, როგორც ბავშვი, როგორც სატრფო, როგორც იდეალი, როგორც ნაწილი თავის სულისა, როგორც ნაწილი თავის სხეულისა, როგორც ტანჯული არსება, რომელსაც ჩაერთო მისი პირადი ტანჯვა; უყვარდა როგორც ბრწყინვალე ოცნება სიჭაბუკისა, როგორც შორიდან მოღიმარი იმედი, როგორც საყვარელი დედა, რომელსაც დიდი ხანია ასე შეუბრალებლათ მოგლიჯეს და რომლისკენაც ეხლა გულის ფანცქალით მიისწრაფოდა.

სამშობლოს სიყვარული! ამას იგრძნობს ის, ვინც არასოდეს არ ყოფილა განდევნილი? განდევნილი არა თავის ნებით, როცა გულის წყლული სხვა ქვეყნის ცივილიზაციის ყვავილებით ამდება, სადაც ძველ გრძნობების და ინტერესების ნანგრევზე ახალი შენდება, არამედ განდევნილი ძალით, როცა მისი ხვედრი მძიმეა, როგორც ბორკილი, მოსაწყენია, როგორც სამარე, როცა უცებ მრავალფეროვან ცხოვრებიდან გადადის ყრუ უდაბნოში; იქ უნდა უარყოს ყოველივე, რითაც ცხოვრობს ადამიანი ამ ღვთისაგან გაჩენილ ქვეყანაზე. იქ ერთმევა საზრდო ყურადღებას, ქვა-კუთხედი მკვირცხლ გონებას და მჩქეფარე გრძნობას ყოველი გამაცხოველებელი, მიმზიდავი ძალის და მოქმედების მიმცემი მაგნიტი. სამშობლო მიუცილებელია ჩვენთვის, როგორც პური, როგორც მზის სხივი, როგორც ჰაერი, რომლითაც სუნთქავ, მაგრამ მხოლოდ მან, ვინც მოკლებული იყო მის ალერსს და უდაბნოში დნებოდა, მხოლოდ მან იცის მისი ფასი.

დევნილს უყვარდა თავის სამშობლო, მაგრამ გამომჟღავნებას ირცხვოდა. როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა მის სამშობლო მხარეზე, თავის გადამეტებული, მკაცრი მსჯელობით ცდილობდა დაემალა ჭეშმარიტი გრძნობა, მაგრამ მღელვარებისაგან წინადადებას ვერ დაასრულებდა, შეწყვეტდა, ჩაჩუმდებოდა და ძალდატანებული ღიმილით იქით მიდგებოდა.

დევნილს ეგონა მისი სიყვარული დიადი საიდუმლოება იყო, მასსა და მის სათაყვანო საგანთ შორის და გამომჟღავნება ხომ ღვთის გმობას ედარებოდა; მაგრამ ვინ არ მიხვდებოდა, ვინც შენიშნავდა მის თვალების ელვარებას დ ხმის კანკალს, როცა მოუხთებოდა სამშობლოზე ლაპარაკი...

დევნილის წინ საზღვარი იყო. მის გულში ავარდა ალი, გიჟურმა ლტოლვილებამ შეიპყრო, მზათ იყო დანარცხებოდა ამ კურთხეულ მიწას, ეგონა, რომ მისი არსებობის ყოველ ნერვს ეგრძნო შეხება, ემბორა უსიტყვო გზის მტვერი, მო-

ეკლა ათი წლის წყურვილი სამშობლო მიწის შეხებით, მიელო მისგან ახალი ძალა, რომელსაც შთაბერავს სამშობლო მიწა ყველა მის მოსიყვარულე შვილს. უნდოდა გამდნარიყო ჰაერში, გამხდარიყო ნაწილი ამ ცის და ამ გადაშლილი ველების; გამოეცადა არსებობა შეუმჩნეველი ბუმბლის, რომელიც ჩაფლულიყო მწვანე ბალახის ზღვაში, მიზრდილიყო სამშობლო მიწას მწვეტიანი დაბუწული ლინლლებით. მზათ იყო ეტირა და ეგალობა ჰიმნი, ედიდებია ღმერთი და ელოცა. ის სრული მორწმუნე იყო ამ წამში და გაბოროტებული უარყოფდა ათი წლის ტანჯვას, ცდილობდა, უკუეგდო, განედევნა მახსოვრობიდან.

და სამშობლოც სიყვარულით და ალერსით სალამს უძღვნიდა: ამწვანებული ტყე წყნარათ შრიალებდა, თვალუწვდენელ ველებს ზეფირი დაქროდა, ცა იყო ისეთი ღრმა და ლურჯი, როგორსაც თავის დღეში ვერ ნახავდა დევნულთ მხარეში. ნაკადულები და მდინარეები მიჩუხჩუხებდენ და მიბუტბუტებდენ, თითქო ერთხმათ ეუბნებოდენ:

სალამი!..

გაზაფხული ილეოდა, ფრინველთა უკანასკნელი გუნდები მიფრინავდა ჩვეული გზით. ყველა დაგვიანებული გუნდის ბოლოს მიდიოდა უფროთ, ქვევითი მგზავრი და ალტაცებული თვალს არ აშორებდა ჰაერში სწრაფათ მოსრიალე პატარა შავ ჩრდილებს.

ელისა.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

როგორც Руск. Вѣд. № 45 გვაუწყებს, ორ თებერვალს, ფინანსთა მინისტრს მიუღია პეტერბურგის ზოგი ფაბრიკის მუშათა დეპუტატები. რომლებმაც მოახსენა მას, თუ რა ესაჭიროება დღეს მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. მინისტრს უთქვამს, რომ ისინი სრულ რწმენით და მოთმინებით უნდა უცდიდენ ამ შრომის დათავებას, რომელსაც ეხლა ეწევა ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, და ახსოვდეთ, რომ მთავრობა ყოველთვის საკმაო ყურადღებით ეპყრობა მუშათა საჭიროებათაც ისე, როგორც სხვა კლასთა ინტერესებს.

ქიათურის კრების და მის საარაკო მოღვაწეების შესახებ. რუსულ პრესსაში ორი სხვადასხვა აზრი გამოითქვა ერთი მეორის წინააღმდეგი. პირველი აზრი „Нов. Об." „პუბლიცისტის" ბ. „Ом."-ის კალამს ეკუთვნის და მოთავსებულია СПет. Вѣд. № 43. ეს ვაჟბატონი, რომელმაც დიდი ხანია ბექანეიშვილის მაღაზიაში შეისწავლა ქართველი ერი, და არა ერთი, ხელისხელ საგოგმანებელი სურათები აუწყა რუსეთის პრესსას ქართველთა ცხოვრებისა, ახლაც ისეთივე „მიუდგომელი" აზრები გამოსთქვა, როგორც მიუდგომათ მსჯელობდა „Нов. Обоз." ფურცლებზე. ის ჩვეულებისამებრ ქებას ასხამს ქიათურის კრებას და მის გმირებს ბბ. ცეიტლინ-ზდანოვიჩს, რომლებმაც მიუხედავათ „შეთქმულთა" ( იგ. ოპოზიცია) ხრიკებისა ნაყოფიერათ ჩაატარბ კრება და ამნაირათ თავის „პოპულიარული" სახალხო მოღვაწეობა დააგვირგვინა

მარა სულ სხვანაირათ უყურებს ამ კითხვას რუსეთის მეორე პუბლიცისტი, ცნობილი „Буква". აი რა შთაბეჭდილება გამოუტანია მას ქიათურის კრების სხდომის ანგარიშებიდან:

„ქიათურის მრეწველთა საბჭომ ქუთაისის კრებაზე ისეთი საუცხოვო სცენები წარმოადგინა, რომ ცირკის პანტომიმებს არ დაუვარდებოდა. ეს ის კრებაა, რომლის თავმჯდომარემ, ვილაც ცეიტლინმა, პირდაპირ ადად-ეწინბა მისცა პრესსის წარმომადგენლებს, როცა ამ უკანასკნელებმა მეტი ადგილი მოითხოვეს მოსათავსებლათ, გარეთ გაათრიეთ. კორესპონდენტები კარგად [illegible] რომ გარეთ არწავიდენ. ცეიტლინი გაბედულად [illegible] და მათი ყინულზე გაცურება უნდოდა. მას სურდა დაემალა საზოგადოებისაგან ეს საუცხოვო სანახავები. საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ ამ კრებაზე საქმიან და სერიოზულ ხალხისა, ხშირი მოვლენა იყო აყალ-მაყალი, ყბებში ლაწუნი და გაცხარებული ყვირილი: „პოლიცია, აქეთ, პოლიცია". კრების ზოგიერთ წევრებს, რომლებსაც მეტი ცნობისმოყვარეობა ქონდათ, ცდილობდენ შეეტყოთ, სად და რაში ხარჯავს საბჭო იმოდენა თანხას, რომელიც იკრიბება $1/2$ კაპეიკიან გადასახადისაგან დამუშავებულ ფუთ შავქვაზე.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭიათურის საბჭოს მოქმედება რაღაც არაჩვეულებრივია. ეს საბჭო ვილაც ბ. ზდანოვიჩის თავმჯდომარეობით, თავის თავს მიუწდომელ სიმაღლეზე აყენებს ჭიათურის მრეწველებთან შედარებით და ამიტომ სრულიად უკანტროლოთ ფლანგავს მათ ქონებას. ის არ ხელმძღვანელობს არავითარი კრებისაგან აღნიშნულ სმეტით და სუბსიდიებით. მოქმედებს ხელგაშლილათ და თავისუფლათ (ფეტვის კაკალივით) ფანტავს ფულს მარჯვნივ და მარცხნივ. ათასობით ეძლევა ფული ყველას (ვინც, რასაკვირელია, საბჭოს წევრია) და ყველაფრისთვის, თავმჯდომარეს, რომელსაც, როგორც სჩანს, მრეწველთა საქმეზე ორჯერ მაინც ჭრდება დედამიწის ირგვლივ შემოვლენა. ჯამაგირათ ეძლევა 5000 მ. ხოლო მოულოდნელ ხარჯებისათვის კიდევ 5000 მან. და ამგვ.

შემდეგ მოყვანილია ფაქტები ბ. ზდანოვიჩის ეკონომიის აბანოს აშენებაში და სხვ.

„ასეთ კურიოზების გამო, ექ. ჭიჭინაძემ, განაგრძობს ბ-ნი „Буква", მიაქცია კრების ყურადღება იმაზე, რომ „საათაიტონე" ხარჯები რომელიც საბჭოს საქმეებს უნდება მეტათ არაჩვეულებრივ ჯამს წარმოადგენსო. ამით მან საბჭოს თავმჯდომარის მტკივან ადგილს შეახო ხელი და უკანასკნელმაც... მას სულელი უწოდა, რატომ გეინტერესება იმის შეტყობა, თუ სად და რაზე იხარჯებოდა საზოგადოების ფულიო".

„Буква"-ს აზრით არც გასაკვირალია, რომ ასეთმა აშკარა შეურაცხყოფამ საზოგადოების წევრისა აამღოთა ყველა იქ მყოფი და საპროტესტოთ გამოიწვია ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ რასაც მოყვა „ხელ-ჩართული" ბ. ზდანოვიჩის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის.

„კრების თავმჯდომარე იძულებული შეიქნა, გულზე ხელებ-დაკრეფილს, მუნჯური მეთოდის შემწეობით გამოეცხადებინა საბჭოს თავმჯდომარისათვის თავისი თანაგრძნობა. მარა, ამ დროს, ალბათ სინიდისიც ცოტათი აწუხებდა: მას ხომ ასე სურდა ასეთი სცენები დაეფარა პრესის წარმომადგენელთაგან"...

მოყვანილი ადგილიც საკმბრისია, რომ კაცმა დაახლოვებით წარმოდგენა შეადგინოს, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენს მიუდგომელ მკითხველზე ქუთაისის „ჭიათურიადა".

---

## მეურნე და მეურნეობა.

### IX.

როგორც უკანასკნელ წერილში გავარკვიეთ, მიწის ყიდვა ნიშნავს რენტის ყიდვას. მაშასადამე, რენტა აქაც ისე ძლიერათ მოქმედებს როგორც იჯარაში, და ხშირათ უსასტიკესათაც. ასე რომ მიწა რა მდგომარე-

ობაშიაც უნდა ჩავარდეს, რამდენ რამდენი პატრიონიც უნდა გამოიცვალოს—ყოველგან და ყოველთვის რენტა ხმალ ამოწვდილი თავს ადგია და თავისას თხოულობს. თუ ეს ასეა გაგებულ და ანგარიშიან მეურნესათვის, რომელიც კაპიტალისტიური მორსმჭვრეტელობით და სარგებლობით ხელმძღვანელობს, რაღა უნდა იყოს წვრილ მეურნე გლეხისათვის. ასეთ მეურნემ არც ფულის ბაზარი იცის, არც მაზანდას უყურებს, არც მსოფლიო ბაზრის გაეგება რამე, არც წესიერი ანგარიში აქვს—ერთი სიტყვით, მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას მიწის აღებ-მიცემობაში შეგნებული მონაწილეობა მიიღოს. მან იცის მხოლოთ თავისი გაჭირება, თავისი უმამულობა და ფიქრობს ყოველივე ამის მოსპობას მამულის შეძენით. ის მიწის საკუთრებას რაღაც თილისმურ ძალას აწერს; როგორც დამშეული კაცის ერთათ-ერთი ნატვრა პურია, ისე მუდამ სხვის მამულში მომუშავე გლეხი მარტო მამულზე ოცნებობს. იმას, რასაკვირველია, იმდენი ცოდნა არა აქვს, რომ მთელი ეს წყობილება თვალ-წინ გაიტაროს და აქედან რენტის თვისებაც გაიგოს. ის, როგორც იტყვიან, ცხვირ წინ იყურება, იმას იქით რა ხდება—საინტერესოთ არ მიაჩნია. ის მუდამ ჟამს თავის უმამულობას და სხვის მამულიანობას ხედავს და მისი ერთათ-ერთი იდეალიც გამამულიანებაა. ამიტომ არც ერთ კლასს ისეთი გაზვიადებული წარმოდგენა არა აქვს მიწის საკუთრებაზე, როგორც გლეხს. მიწა მისთვის ყველაფერია, დაუფასებელი განძია, ყოველივე სოციალური სენის გამკურნავია. ის ღრმათ გრძნობს დამშეულობას მიწისადმი და ოცნებობს მიწით გაძღომაზე, ე. ი. იმდენი მიწის შეძენაზე, რომ ის სხვის საკუთრებაში არ საჭიროებდეს. ამისათვის ის არაფერს არ ზოგავს, ტყავს გაიძრობს, სახლ-კარს გაყიდის და მიწურში დადგება, ოღონდ მესაკუთრე გახდეს. ასეთია ამ ჯურის მიწის მყიდველი, რაც ყოველთვის დიდი უმრავლესობაა.

როგორია გამყიდველი?

გამყიდველი ჩვეულებრივათ მემამულეა, რენტიორია, რომელმაც კარგათ იცის მიწის ვაჭრობის წესები, ფულის ბაზრის მდგომარეობა და სხვა საჭირო ცნობები. ის ანგარიშიანი კაცია და არც იმდენი მოშიებულია, რომ უძლურმა მოატყუოს. მას საქმე აქვს კაპიტალისტებთან, ბანკებთან, ნასწავლ ხალხთან და მათთან ერთათ იწვრთნება და გონიერდება. მას ნათელი წარმოდგენა აქვს რენტაზე, მიწის მნიშვნელობაზე და საზოგადოთ მეურნეობაზე. ის შეიძლება კაპიტალისტმა მოატყუოს ანგარიშში, მარა უვიცი გლეხი კი ვერასოდეს ვერ მოატყუებს. ის მასზე მაღლა დგას ყოველი მხრივ და აი, ეს ორი მიწის ვაჭარი ერთათ იყრებიან სათათბიროთ! ცხადია, აქ წესიერი ვაჭრობა ვერ მოხდება, თანასწორი ღირებულობის გაცვლა ვერ მოხერხდება. სუსტი უთუოთ უნდა დაიჩაგროს, ძლიერმა უთუოთ უნდა გაიმარჯვოს. ვაჭრობა ერთნაირი ბრძოლაა და ვინც უფრო ღონიერია, ის იგებს. ასეთ გარემოებაში წვრილი მეურნე გაცილებით მეტს იხდის მიწის ყიდვის დროს, ვინემ ეს მიწა ღირს. ე. ი. რენტაში ისეთ დიდ თანხას დებს, რომ მისი უკანვე დაბრუნება უჭირდება და გათანხებული რენტა შვების მაგიერ ტვირთათ ედება. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. თუ სახეში მივიღებთ იმას, რომ ის მიწას უყურებს არა როგორც მოგების წყაროს, არამედ როგორც მუშაობის საშუალებას, თავის შრომის მიუცილებელ სარბიელს, მაშინ დავინახავთ ამ ზედმეტი გადასახადის ერთი ორათ აწევას. და მართლაც, გლეხი უმიწოთ თავის ცხოვრებას ვერ წარმოიდგენს, იმას კაპიტალისტივით ხომ არ შეუძლია კრიზისების დროს თავი დაანებოს მეურნეობას, სახლ-კარს, და სხვა წარმოებაში ჩაებას. კარგი მოსავალია თუ ცუდი, მოგება აქვს თუ ზარალი—ის მაინც მიკრულია თავის მიწაზე და მანამდის თავს დასტრიალებს, სანამ ვინმე მოვალე ხელიდან არ გამოაცლის ან და სახარბიელო ფასს არ შეაძლევს. ამიტომ ის ცდილობს მიწა უთუოთ შეიძინოს და მით მიწის ფასიც მაღლა იწევს. ცნობილია, რომ ერთი და იგივე მამული ნაჭერ-ნაჭერ გაყიდული მეტ ფასს იღებს, ვინემ ერთათ გაყიდული. პირველ შემთხვევაში მყიდველია წვრილი მეურნე და როგორც ამნაირი მეტს იხდის, ხოლო მეორე შემთხვევაში მყიდველია შეძლებული კაცი და როგორც ამნაირი,—გაგებული და ბაზრის მცოდნე.

ერთი სიტყვით, უვიცობა და გაჭირება ძალას ატანს გლეხს მიწაში მეტი ფასი გამოიღოს და მით რენტის ბრჭყალებში სამუდამოთ ჩავარდეს. მისი აქედან გამოსვლა—ბედნიერი შემთხვევაა და როგორც შემთხვევა, საზოგადო წესს არ შეადგენს. პირიქით, დიდი უმრავლესობის გაჭირება სწორეთ მიწის ყიდვიდან ძლიერდება. ჯერ ერთი ეს რომ ის უეჭველათ ნასესხები ფულით ყიდულობს. სესხება კი შეუძლია ან ბანკიდან ან კერძო პირისაგან. ბანკები უმრავლეს შემთხვევაში მისთვის ხელმიუწვდენელია, ამას უნდა წასვლა-წამოსვლა, ცოდნა და მრავალი სხვა. მაშინ როდესაც მის გვერდით ფულიანი კაცია და მზათ არის უდავიდარაბოთ, ერთი ხელის მოწერით ფულები დაუთვალოს. ამით ის ჩარჩის მახეში ებმება. ახლა მან ამას უნდა უხადოს ნათავნი (პროცენტი) და თავნი. გამოდის რომ გლეხი მიწასაც ძვირათ ყიდულობს და ფულსაც ძვირათ ხმარობს. ეს ორნაირი ბრჭყალებია და მისი გარღვევა თვით კაპიტალისტური წყობილების გარღვევით შეიძლება, მეტი გზა არ არის.

რაკი გლეხი ასეთი გაჭირებით იძენს მიწას, აშკარაა საწარმოვო თანხა ან სრულებით არ რჩება ან თუ რჩება ისე ცოტა, რომ სალაპარაკოთ არ ღირს. მთელ მის თანხას შეადგენს თოხი, ბარი, ნიჩაბი, ცული, წალდი, გუთანი და დიდი-დიდი ერთი უღელი ხარი ან ერთი ცხენი. ამით უნდა დაამუშაოს მიწა. სამაგიეროთ თავს ინუგეშებს იმით, რომ საკუთარი მამული მაქვს, დამოუკიდებელი მეურნე ვარო! ნამდვილათ კი ეს მისი დამოუკიდებლობა ორნაირ დამოკიდებულებას ნიშნავს, ხოლო მისი საკუთრება—სხვის (ფულის პატრონის) საკუთრებას. ის აქ გადამხდელის როლს თამაშობს; მიწას უნდა ჩაკირკიტოს, ცოლშვილი ზედ მიაკლას, რომ სარგებელი იხადოს და ცხოვრება აცოდვილოს. ეს სარგებელი რენტას, რასაკვირველია, დიდათ აღემატება, ასე რომ იძულებულია თავისი შრომის ნაყოფიც ზედ მიადვას და ასე ბატონი კაპიტალისტი (კერძო პირია ეს თუ ბანკი, სულ ერთია) გაისტუმროს.

ჩვენში ჯერ კიდევ არ დამდგარა ასეთი ხანა, ჩვენი გლეხობა ახლა ცდილობს „დამოუკიდებელი“ გახდეს. სამაგიეროთ დასავლეთ ევროპაში გლეხობის უმრავლესობა უკვე „დამოუკიდებელი“ გახდა და მისი სვებედის გაცნობა უკან ჩამორჩენილ გლეხთა მომავალის გაცნობასაც ნიშნავს.

დასავლეთ ევროპაში კაპიტალი მართალია დაეპატრონა როგორც მრეწველობას და ვაჭრობას, ისე ადგილ-მამულს, მარა კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ ვერ დაპატრონებია მთელ ნაციონალურ წარმოებას. ასე რომ კაპიტალისტურ წარმოების გვერდით არის არა-კაპიტალისტური წარმოებაც, ფაბრიკის გვერდით სახელოსნო, დიდ მეურნეობის გვერდით პატარა მეურნეობაც. აი ეს გარემოება ართულებს ცხოვრების მოვლენათ და აძნელებს მათი ჩარხის ნათლათ დანახვას. ამიტომ ხალხის ბევრ გულწრფელ მეგობართ ჰგონიათ, რომ „დამოუკიდებელი“ გლეხი გინდ ხელოსანი უფრო კარგათ ცხოვრობს, ვინემ მუშა-პროლეტარი. აქედან წარმოდგება მათი ღაღადი საყოველთაო „გაგლეხებისა“ და ხშირათ

ფაბრიკებსაც ემუქრებიან, წვრილი სახელოსნო გააქრობსო. ჩვენ ამ კითხვებს წინდაწინ არ გადავჭრით. დეე, თვით ფაქტებმა ილაპარაკონ.

თავისთავათ ცხადია, რომ წვრილი მეურნეობა იქ არის გავრცელებული, სადაც კაპიტალისტური მეურნეობა სუსტია. ეს არის სამხრეთი საფრანგეთი, გერმანიის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილები, ჩრდილო იტალია და სხ. ინგლისში ასეთ მეურნეობას ძლიერ მცირე ალაგი უჭირია. განსაკუთრებით საფრანგეთი ითვლება წვრილ თავისუფალ მეურნეთა კლასიკურ ქვეყნათ. გლეხის პირველი დამარცხება იწყება იმით, რომ ის ყოველივე საშინაო მრეწველობას ეთხოვება და მარტო მეურნეობას ადგება. ის ახლა შინ არც რთავს, არც ქსოვს, არც ჭრის და კერავს,—ყველაფერს ყიდულობს, გარდა სამეურნეო ნაწარმოებისა. მაშასადამე, დღევანდელი გლეხის ოჯახი ის აღარ არის რაც წინეთ იყო. მის ცხოვრებაში მიწამ ახლა გაცილებით მეტი ადგილი დაიკავა, ვინემ წინეთ და რაღა გასაკვირველია ის მხოლოდ მის შეძენაზე ოცნებობდეს.

როგორც ზევით ვთქვით, გლეხი მიწას ძვირათ ყიდულობს და ფულსაც ძვირათ სესხულობს. ამიტომ ეს ვითომ და მისი საკუთრება სხვისი საკუთრებაა და სულ იმის ზრუნვაშია ის ხელიდან არ გამოეცალოს. მას 30—40 წლის შემდეგ ეგების მართლა დაებრუნებია გათანხებული რენტა და მერე რენტა მუქთათ დაერჩინა, მაგრამ ამას ხელს უშლის მისი დავალიანება. საკუთრებას დიდ ხანს ხელში ვერ ირჩენს და იძულებული ხდება გაყიდოს ან თავისნებით ან სასამართლოით. ეს გაყიდვა ხდება, მაშინ როცა მეურნეობაში კრიზისია, მაზანდა დაცემულია, რენტა მცირეა და, მაშასადამე, მიწაც გაიაფებულია. ამას ვერ უძლებს წვრილი მეურნე, ვალებს ველარ ისტუმრებს, მოთხოვნილებათ ვერ აკმაყოფილებს და ძალაუნებურათ ყიდის ან მთელ საკუთრებას ან ნაწილს. მაშასადამე ის ყიდის იაფათ. აი კრიზისი შესუსტდა, მაზანდამ აიწია, ფულმა ისევ პირი იბრუნა მეურნეობისაკენ, მიწა ძვირდება, გლეხსაც იმედი მოეცა უკეთესი მომავლის, მაგრამ მიწა კი აღარა აქვს. ახლა ის ფაცურდება, ფულს შოულობს და მიწას ხელახლა ყიდულობს. მაშასადამე, ყიდულობს ძვირათ. ერთი სიტყვით, ყიდის დაწეულ ფასებში, ყიდულობს აწეულში! ასეთ პირობაში ის კიდევ უფრო ვალიანდება და მიწა ხშირად ხელიდან უსხლტება. საფრანგეთში გაიყიდა 1880 წ. 1,087,709 ნაჭერი მიწა, რომელიც შეიცავდა 1,876,837 ჰექტარს (ჰექტარი ერთ დესიატინამდისაა), 1885 წ. გაიყიდა 1,081,469, რომელიც შეიცავდა 2,052,227 ჰექტარს, ხოლო 1887 წ.—1,128,222 ნაჭერი და შეიცავდა 2,170,675 ჰექტარს, ე. ი. 8 წლის განმავლობაში პატრონი გამოუცვლია 6 მილიონ მეტ ჰექტარს, რაც შეადგენს საფრანგეთის მთელი სამუშაო მიწა-ადგილის ერთ მესამედს. და ეს რომ უმთავრესათ წვრილი საკუთრებაა იქიდან სჩანს, რომ თითო ნაჭერი ორ ჰექტარს არ აღემატება. ცხადია, საფრანგეთის გლეხობა მიწის ყიდვა-გაყიდვაში ყოფილა ჩაბმული, რაც ვალებით და გაჭირვებით აიხსნება. აქ მიწა-ადგილის მთელი შემოსავლის მეოთხედი ეკუთვნის 65 ათას მემამულეს, ხოლო დანარჩენი 9 მილიონ წვრილ და საშუალო მეურნეს [1]). აქ მთელი საადგილ-მამულო ვალი, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, უდრის 14 მილიარდზე მეტ ფრანკს. გერმანიაში წვრილ მეურნეთა დავალიანება ძლიერ ვითარდება. შმოლერის სიტყვით, დასავლეთ პრუსიაში გლეხთა საკუთრებას აწევს მისი ღირებულობის ნახევარი (50%) ვალი მაინც. ბრანდებურგის პროვინციაში არის მხოლოდ 10 პროცენტი გლეხებისა უვალოთ; იმ მეურნის ვალი, რომელსაც ას მორგენზე მეტი მიწა აქვს, იშვიათათ ასცილდება 35 პროცენტს მიწის ღირებულებისას, ვისაც 30—100 მორგენ[illegible] ღირებულების 50 პროცენტამდის ადის, ხოლო [illegible] ურნეთა ვალი ღირებულების 70—80 პროცენტამდის [2]), ხშირათ 100—150 პროცენტამდის ე. ი. საკუთრება რაც უფრო პატარაა, მით უფრო დიდი ვალი აქვს, ზოგან ვალი მეტია, ვინემ თვით საკუთრება ღირს. ეს საზოგადო კანონია ყველა წვრილი საკუთრების დავალიანებისა. მაგ., პომერანიის ორ სოფელმა 1850—1882 წ. მიწის ფასმა ოთხჯერ მოიმატა, ხოლო ვალმა კი ცხრაჯერ, „რვა სოფელს 15 წლის წინეთ ქონდა 121,500 მარკა ვალი, ახლა კი 669,400 მარკა ვალი აქვს“ (ib.). პოზნანში პოლონელთა დავალიანებამ ძრიელ მოიმატა. შილდებერგის მაზრაში ვალი უდრის მიწის ღირებულების ერთი მეოთხედიდან სამ მეოთხედამდი, „ხოლო ჩარნიკაუს მაზრის მიწა-ადგილთა ერთ ნაწილს იმდენი ვალი აწევს, რამდენიც ღირს“. ბადენის საჰერცოგოში, სადაც წვრილი მეურნეობაა გავრცელებული, ვალმა მოიმატა 1884—1894 წწ. 150 მილიონი მარკა. და ასე ყოველგან მთელ გერმანიაში. შვეიცარიის გლეხობა ხომ განთქმულია, მარა აქაც დავალიანება თანდათან ძლიერდება, მაგ., ბერნის კანტონის გლეხთ 1860 წ. ემართათ 200 მილიონი ფრანკი, 1890 წ. კი 500 მილიონი. ბოჰემიაში 1879—1889 წწ. მამულის წვრილმა საკუთრებამ მოიმატა $13,_{29}$ პროცენტი ვალი, ხოლო მსხვილმა—$3,_{77}$ პროცენტი.

ერთი სიტყვით, წვრილი საკუთრების დავალიანება და ხელიდან ხელში გადასვლა უმაღლეს წერტილამდეა ასული დასავლეთ ევროპაში. ამის თავიდათავი მიზეზია გლეხთა შეუჩერებელი მიდრეკილება „დამოუკიდებლობისადმი“, ე. ი. მიწის ყიდვა. ძვირათ უჯდება მათ მიწაზე საკუთრების უფლების მოპოება, იმ უფლების, რომელიც მემამულეთ არაფრათ ულირთ, ხოლო ფასს კი დიდს იღებენ. მიწის მონოპოლია და აქედან წარმომდგარი რენტა—აი, აქ იჩენს მთელ თავის ძალას, თავის უსაზღვრო ბატონობას მიწის მუშაკზე. რენტა არ ანებებს არა მარტო ნაყიდი მამულის გაუმჯობესობას არამედ აღარც მის სამუდამოთ დასაკუთრებას. ის რენტას მხოლოდ ხელს ახებს, თავის შემოსავალში ანგარიშობს, და მაშინვე აძლევს მის ნამდვილ პატრონს—კაპიტალისტს და კიდევ ზედ უდებს თავის მოგების ერთ ნაწილს. გათანხებული რენტა უკარგავს არა მარტო რენტას, არამედ მოგებასაც და ბოლოს თვით მამულს. რენტა როგორც მოშორდა მის პირველ პატრონს და თანხათ იქცა, ერთ ალაგას აღარ ჩერდება, ის გამწარებული დარბის, ვერსად ვერ ისვენებს და ვისაც კი მოხვდება უმოწყალოთ ეპყრობა,... ეს ერთნაირი მოჯადოვებული წრეა, რაკი შიგ ერთხელ მოხვდი, უნდა იტრიალო.

რას ნიშნავს ამ წრეში ტრიალი და როგორ უჯდება ეს გლეხს? ჩვენ ზევით დავინახეთ თუ როგორ ცუდ პირობებშია გლეხი ჩაყენებული, შედარებით სხვილ მეურნეებთან, როცა ის მიწას ყიდულობს. მარა ეს მისი გაჭირებული მდგომარეობა მიწის ყიდვით არ ისაზღვრება. ვთქვათ როგორც იყო ის დამოუკიდებელი მეურნე შეიქმნა, საკმაო მამული შეიძინა. ახლა საჭიროა ამ მამულის ამუშავება და თავისი მოთხოვნილებების აქედან დაკმაყოფილება. და აი იწყებს წარმოებას. პირველ ყოვლისა ის აწარმოებს ბაზრისათვის, მან თავისი ნაწარმოები უნდა გაყიდოს და ფული აიღოს.

[1]) კამფმაინერის „Die sociale Frage audem Land“, 189†.

[2]) შმოლერის „Die neusten Publikationen über die Lage des udecyen Bauernstandes“ VII, გვ. 616.

მაშასადამე, ის დამოკიდებულია ბაზრიდან, ხოლო აქ კი მარტო ის არ გამოდის, აქ არის ნაწარმოები ყველა მეურნის, აქ მეურნენი ერთმანეთს ეცილებიან მუშტრის მოსაზიდავათ. ხოლო მუშტარი მიდის იქით, სადაც იაფი და სალი საქონელია. გავშინჯოთ ამ მხრით გლეხის მეურნეობა.

საქონლის სიიაფე და სიკარგე დამოკიდებულია წარმოებისაგან, ხოლო წარმოება კი თანხისაგან. ამიტომ კითხვა დიდ და პატარა მეურნეობის შესახებ არის კითხვა არა მამულის სივრცეზე, არამედ შიგ ჩადებულ საწარმოვო თანხაზე. შეიძლება მამული დიდი იყოს, მარა წარმოება კი ექსტენსიური, შეიძლება პატარა იყოს, მარა წარმოება კი ინტენსიური. აქედან იბადება მეორე კითხვა: სამეურნეო თანხისათვის დიდი მამული უფრო ხელსაყრელია თუ პატარა? ე. ი. ინტენსიური წარმოება სად უფრო იაფ და კარგ საქონელს იძლევა—პატარა მამულზე, თუ დიდზე? საკმარისია ეს კითხვა დაისვას, რომ ის ჭეშმარიტად გადაიჭრას. ჯერ ერთი ის, რომ პატარა მამულზე, თითქმის არავითარი რიგიანი მანქანის ხმარება არ შეიძლება. მისთვის აქ გასაქანი არ არის. ამის დასამტკიცებლად საკმარისია შემდეგი ცნობა:

კრაფტის გამოანგარიშებით ორთქლის სალეწ მანქანამ რომ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს, საჭიროა 250 ჰეკტარი მიწა, ხოლო ორთქლის გუთნისათვის კი 1000 ჰეკტარი. რაც შეეხება ელექტრონის ხმარებას, ამის გამოსაყენებლათ საჭიროა, 200 ჰეკტარი მაინც, თუმცა მოგება აქ საეჭვოა, მხოლოდ ათასი ჰეკტარის და მეტის დამუშავებაა ხელსაყრელი. მაშასადამე, პატარა სივრცის მანქანებით შემუშავება ვერასოდეს ვერ მოიტანს იმ ნაყოფს, რომელიც უნდა მოიტანოს მანქანამ. ამიტომაც არის, რომ მანქანების ასპარეზი დიდი საკუთრებაა. მაგ., გერმანიაში ასს სხვადასხვა ზომის წარმოებაზე 1895 წ. მოდიოდა ორთქლის გუთანი 0—100 ჰეკტარ საკუთრებაზე არც ერთი, მხოლოდ ას ჰეკტარზე და მეტზე $5,_{29}$ გუთანი; ორთქლის სალეწავი მოდის 2 ჰეკტარის ნაკლებზე $1,_{08}$, 2—5 ჰეკტარზე $5,_{20}$, 5—20 ჰეკტარზე $10,_{95}$, 20—100 ჰეკტარზე $16,_{60}$, ხოლო ას და მეტ ჰეკტარზე $61,_{22}$. სათიბი მანქანა იმავე ზომის მიწებზე ითვლება—$0,_{01}$, $0,_{06}$; $0,_{68}$; $6,_{93}$, ხოლო უკანასკნელ კატეგორიაზე (100 და მეტი ჰეკტ.) $31,_{75}$, ცხადია, რა მხრითაც უნდა გასინჯოთ, წვრილი საკუთრება ვერ შეედრება მანქანების ხმარებაში დიდ საკუთრებას. ამას გარდა დიდ წარმოებას ნაკლები ხარჯი აქვს პირუტყვზე, შენობაზე, შრომაზე და სხვა საჭიროებებზე. ასი დესიატინა მიწის ერთათ დამუშავებისათვის ნაკლები თანხაა საჭირო, ვინემ ასი დესიატინის ათათ დამუშავებისათვის. აქ ათი მამულია, მაშასადამე, ათი გუთანი, ათი უღელი ხარ-კამეჩი ან ათი ცხენი, ათი სახლი და სხ. და სხ. იქ კი ერთი მამულია და ყველა ეს გაცილებით ნაკლები უნდა. 1860 წლებში საქსონიაში ას აკრ გლეხთა საკუთრებაზე მოდიოდა $3,_{3}$ ცხენი, ხოლო ას აკრ აზნაურის საკუთრებაზე მხოლოდ $1,_{5}$. პირველ შემთხვევაში ასი აკრი წარმოადგენს რამდენიმე საკუთრებას, ხოლო მეორე შემთხვევაში კი ერთს ან კიდევ ნაკლებს. 1895 წლის აღწერით გერმანიაში ათას ჰეკტარ დამუშავებულ მიწაზე ითვლებოდა 2—5 ჰეკტარიან საკუთრებაზე 853 ოთხფეხი სხვილი პირუტყვი, ხოლო ას ჰეკტარზე 250. [3]) განსხვავება აშკარაა. ყველა ამ უპირატესობის წყალობით დიდი მეურნის მიწა გაცილებით მეტ შემოსავალს იძლევა, ვინემ პატარა მეურნის. მაგ., პრუსიაში ერთი ჰეკტარი მიწა იძლევა პირველის ხელში ერთ მესამედ მეტ მოგებას ვინემ მეორის ხელში [4]).

[3]) ,,Die Agrarfrage''. პაუტსკის.

[4]) „Handwörterbuch der staatswisrenchaften" IV. გვ. 167.

ერთი სიტყვით, დიდ მეურნეს იაფათ უჯდება წარმოება, ვინემ პატარას. ეს იგივეა, რაც ხელოსანი და ფაბრიკანტი. უკანასკნელს თვითეული საქონლის დამუშავება ნაკლებათ უღირს, ვინემ პირველს და ამიტომაა, რომ ის ბრძანებლობს ბაზარზე. მაგრამ ამასთანავე განსაკუთრებით პატარა მეურნეს აბრკოლებს ის გარემოება, რომ მას საწარმოვო თანხა ძრიელ ცოტა აქვს, კრედიტს ბანკები იშვიათათ აძლევენ, თუ რამე ებადა მიწის ყიდვაში ჩაყარა და ასე ცარიელ-ტარიელმა რა კონკურენცია უნდა გაუწიოს დიდ მეურნეს. როგორც ხედავთ, წვრილ მეურნეს ერთი მხრით აკლია თანხა, აკლია თანამედროვე საწარმოვო იარაღები, ე. ი. ის ღარიბი კაცია; მეორე მხრით ეს ღარიბი თავის საკუთრების შემუშავებაზე მეტს ხარჯავს და ნაწარმოები უფრო ძვირათ უჯდება, ვინემ დიდ და შეძლებულ მეურნეს. ეს მისი დაბეჩავება არც ამით თავდება. ის ნაწარმოების გასაღებაშიაც თან მოყვება და პირველობა მის მეტოქეს რჩება. დიდმა მეურნემ, როგორც უფრო შეგნებულმა და მცოდნემ, კარგათ იცის ბაზრის მდგომარეობა და ვაჭრობის წესები, ის თვალ-ყურს ადევნებს მსოფლიო ბაზარს, კავშირი აქვს ბანკებთან და ბირჟებთან, კითხულობს გაზეთებს—ერთი სიტყვით, ის ფხიზლობს და მყიდველები ადვილათ ვერ დაატყუებენ ამას გარდა, მას აქვს მეტი თანხა, მეტი კრედიტი და თუ ფასები დაწეულია, შეუძლია მოიცადოს და თავისი საქონელი აწეულ ფასებში გაასაღოს. ყველა ეს აკლია წვრილ მეურნეს. ის იძულებულია მოსავალი მოყვანისათანავე გაყიდოს, გაყიდოს რა ფასებიც უნდა იყოს, და მით თავისი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

ამგვარათ, გლეხი მიწას ყიდულობს ძვირათ, წარმოება უჯდება ძვირათ, ხოლო ნაწარმოებს ყიდის იაფათ.

აი მისი ეკონომიური როლი თანამედროვე წარმოებაში!

რა ცვლილება გამოიწვია ამ გარამოებამ—შემდეგ წერილში დავინახავთ.

გ. მარმალაძე.

---

## ღია წერილი ბ-ნ ,,სიტყვას''

წავიკითხე თქვენი „საკვირაო ფელეტონი" (იხ. ,,ცნობის ფურცელი'' 9 თებ. 1903 წ.), და შიგ ერთი ადგილი ჩემთვის გაუგებარი დარჩა. თქვენ ლაპარაკობთ: ჭიათურის საქმეში არ ვეთანხმები რედაქციას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვეთანხმებოდე ვისმე იმაში, ვითომც ჩემი ამხანაგები ამ საქმეში ხელმძღვანელობდენ არა საზოგადო ინტერესებით, არამედ პირადის ანგარიშებით... მე არ „მინდა''-მდის რომელ ამხანაგობაზე ლაპარაკობთ—წრევანდელ სიეზდის ოპოზიციაზე—კალისტრატე-ემერიკის გარდა,—თუ ,,ცნობის ფურცლის'' თანამშრომლებზე? თუ უკანასკნელები გყავთ სახეში, მე მგონია, სცდებით და აი რისთვის: მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ექიმ ჭიჭინაძის და მის ამხანაგების გულწრფელობაში ეჭვს არ შეიტანთ; თქვენ კარგათ იცით, რომ ისინი იბრძვიან იმდენათ, რამდენათაც მათ საქმე აინტერესებს, და ამ საქმეში კი პირველი და უკანასკნელი ადგილი უჭირავს მუშების კითხვას; თქვენ ისეც კარგათ იცით, რომ ბ. ზდანოვიჩს მუშების მდგომარეობის უმჯობესობა, მათი თვითცნობიერების შეგნება და განვითარება იმდენათ აინტერესებს,—საქმემან შენმან გამცნოს შენო,—რამდენათაც მე და თქვენ—შარშანდელი თოვლი. ,,ც. ფ-ლი'' კი თავის ,,გარემეთი'' მეთაური წერილების ავტორით, და ქუთათური კორრესპონდენტით ბ. ზდანოვიჩს ესარჩლებიან და მისს მოწინააღმდეგეთ უსუსურ ბავშებათ სთვლიან. »გარემემ« თავდაპირველათ მათ გულწრფელობაშიდაც კი შეიტანა ეჭვი. მაგათ კარგათ იციან თუ რა იღონა და გააკეთა ბ. ზდანოვიჩმა მუშებისათვის, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაინც იგივე ზდანოვიჩი გაუხდიათ თავიანთ ღმერთათ, ყოველივე მისს დანაშაულობას ხელს აფარებენ და უოვ-

ლისფერში ან ამართლებენ ან და სიჩუმის პრინციპს დადგომიან. ბ. ზდანოვიჩმა თითქმის არც ერთი მესამე სიეზდის დადგენილება სისრულეში არ მოიყვანა; პირიქით, მან გააკეთა ის, რაც მესამე სიეზდმა უარყო. ეს ყოველივე იცის „ცნობის ფურცელმა“ და ერთიც არ უთქვამს; ზდანოვიჩი გლახათ მოიქცა. რას ნიშნავს ეს, თუ არ ზდანოვიჩის მიდგომას, მისი პირადობის დაცვის სურვილს, საზოგადო საქმისადმი გულგრილობას? შეიძლება თუ არა აქედან ჩვენ მათ წერაში „პირადი ანგარება“ დავინახოთ? შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ მაგათ საზოგადო საქმე კი არ აინტერესებს, არამედ მარტო და მხოლოთ მარტო ზდანოვიჩის ადრე წითელი და ახლა კი გაშავებული ფიზიონომია? მაშასადამე, თუ კი ვინმე ეს „პირადი ანგარება“ აღნიშნა, ის მართალი ყოფილა და თქვენც, ბ. „სიტყვა“ არ შეგიძლიათ მათ არ დაეთანხმო; სჩანს, თქვენც უნდა აღიაროთ, რომ მათ პირადი ინტერესები ალაპარაკებენ. გაიგონეთ, ბ. „სიტყვა“, რომ სამსონ ფირცხალავა გულწრფელათ ებრძოდა მესამე სიეზდზე იმავე ზდანოვიჩს და აქვე მოიგონეთ ის ლანძღვა-გინება, რომელიც მას უძღვნა „მოამბეში“ ახლანდელმა ბ. „სიტყვის“ „ამხანაგმა“-თანამშრომელმა. „Единъ богъ Аллахъ и Магометъ его пророкъ»;—ერთია ბ. ზდანოვიჩი და „ც. ფ-ლი“ მისი წინასწარმეტყველი; ვინც პირველს არ იწამებს, მას მეორე დაგმობს.—ბ. ზდანოვიჩის გამართლების, მერის თეთრათ უმარილით შელესვის სურვილმა ისე დააბრმავა „ც. ფლი“, რომ, როდესაც ბ. ცეიტლინი, ზდანოვიჩის დიდი მოტრფიალე (მას წრევანდელ სიეზდიდგან ცოტაოდენი „გრომები“ ერგო, რასაკვირველია, გასამრჯელოთ; მისი შვილი ზდანოვიჩის, საბჭოში მასხარობს), შეეხო ყოველი პატიოსანი კაცის წმიდათა-წმიდას, შეეხო პრესსას და „თუ ადგილი არ ყოფნით, გარეთ გაეთრიონო“—წამოიძახა კორესპონდენტების ადრესით,—„ც. ფ-ლი“ არამც თუ წინა-აღუდგა ამგვარ საზიზღარ, პოლიციურ საქციელს, არამედ კიტას პუბლიცისტიურ პირ-ტუჩით მას თავის თანაგრძნობა გამოუცხადა, გაკიცხა კ. ნიკოლაძის საქციელი და უკანასკნელს სახელათ „дикая выходка“ უწოდა. კ. ნიკოლაძემ უთხრა ცეიტლინს: „Корреспондентовъ боится тотъ, кто чувствуетъ за собою какіе-нибудь грѣхи». და განა ეს მართალი არ არის? განა მართლაც არ გრძნობდეს ისინი ცოდვებს და სინათლეს ერიდებოდენ? დიახ, პრესსას შეეძლო მათი საქმეები გამოემზევრებინა, ეს მათ იცოდენ და ეზიზღებოდათ ეს პრესსა; ესეც რომ არ იყოს, მარტო ის კი არ კმარა, რომ პრესსის წარმომადგენლებს გარეთ გაყრას დაემუქრენ? ყოველივე ამას „ც. ფ-ლი“ ამართლებს და ბეჭდვითი სიტყვის უარ-მყოფელს ტაშს უკრავს. რას ნიშნავს ეს, თუ მე პირადი ინტერესებით გატაცებულ ბრძოლას, თუ არ პირად „ანგარებას“? და თქვენ კი, ბ. „სიტყვა“, მაგისთანა „ამხანაგების“ გულწრფელობაში ეჭვი არ შეგაქვს, ან „პირადი ანგარება“ ან და უგუნურება,—ამ ორში ერთიდაერთი მათი საკუთრებაა; მე კი პირველი მგონია.

ვინც წრევანდელ კრებებს დაესწრო, ის ძრიიან დაბრმავებული უნდა ყოფილიყო, რომ ბ. ზდანოვიჩის დაცემა, უფსკრულში ქირით დაშვება არ დაენახა: აშკარა ფაქტების უარყოფა; ყოველივე კითხვის ბურუსში გახვევა; მოპირდაპირის დამცირება; პირადობის შელახვა; თვითნებობა; საეჭვო კენჭოსანთან თვალის ქნევა და არაშიყობა,—ყოველივე ეს ჩახლართული იყო მის საქციელში და ლაპარაკში. ბოლოს იქამდის დაეშვა, რომ მოპირდაპირეებს ყოყოჩათ შესძახა: „У васъ ума нѣтъ, нѣтъ у васъ ума“. აი კულტურა და საზოგადოებრივი დისციპლინა; აი გმირი და იდეალი „ც. ფ.ისა“! არც ამაზე სთქვა მან, რომ ეს ბრძოლის ეთიკას არ შეეფერებათ; ამის მერე მოდი და „პირად ანგარებას“ ნუ შეაჩხირებ. „ცნ. ფ-ალი“ თვალს არიდებს ყოველივე მას, რაც რომ ბ. ზდანოვიჩის და მისს პარტიის გამურულ სახეს დაანახებდა და ოპოზიციას კი ნათელს შიაშუქებდა.

ოპოზიცია წრევანდელ კრებაზე აუტანელ მდგომარეობაში იყო, მას არ შეეძლო თავისი აზრი „ურისკოთ“ გამოეთქვა. ამ სურათმა მომაგონა კარსილის თხზულებიდან ერთი ადგილი: [illegible] გა ერთ ადგილას ქათმები და ღუბნები. „Милые птенцы, я васъ собралъ нарочно, чтобы узнать ваше мнѣніе, подъ какимъ соусомъ васъ лучше изготовить?“. მამალი უპასუხებს: „Мы не хотимъ, чтобъ насъ съѣли“. გლეხი სიტყვას აწყვეტინებს. „Вы удаляетесь отъ предмета. Это къ дѣлу не относится“—გაიძახოდენ ერთხმათ ცეიტლინი, ზდანოვიჩი, კიტა და შეპოროვილ-შეჯაჭვული ამალა, როდესაც ვინმე ზდანოვიჩის იარებში ხელის ფათურს დაიწყებდა. როდესაც ექიმი ჭიჭინაძე შეეხო ვრცლათ ზდანოვიჩის მოღვაწეობას, ერთი აურ-ზაური ასტყდა დარბაზში: „არ გვინდა, არაა საჭირო, მაგ საქმეს არ შეეხება“—გაისმოდა უცნაური ყვირილი; ამით ვერარას გახთენ; ჭიჭინაძემ გამოაცხადა, რომ მე თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება მომცა და კიდეც მოვიხმარ ამ ჩემს უფლებასო; მაშინ კიტა და 30-ოდე მონა ადგენ და გარეთ გავიდენ. ესეც კიდევ რიგიანობის, უანგარობის და მიუდგომლობის ნიმუში და „ც. ფ-ლი“ არც ამას შეხებია, არც ეს „კულტურული და ზრდილობიანი“ საქციელი დაუგმია. ყოველივე ამის შემდეგ, გვაქვს თუ არა უფლება ვთქვათ, რომ „ცნობის ფ-ლი“ რაღაც პირად ინტერესებს, „პირად ანგარებას“ შეუპყრია, რომ ის ბრმათ და მონურათ იცავს ბ. ზდანოვიჩს და ებრძვის მისს მოწინააღმდეგობას? პრესსამ ყოველივე სიყალბე, შეცდომა და საზოგადო საქმეში პირადი ინტერესების გარევა უნდა ამხილოს, დაგმოს, და „ც. ფ-ლი“ კი ყოველივე ამას ხელს აფარებს, ამართლებს და პრინციპათ ხდის; ამით ის რყვნის საზოგადოებას, ის საზოგადოების მწყემსი კი არა, თვით სამწყესია და ლიტერატურული ოპეკა რომ იყოს შემოღებული,—პირველი საოპეკო „ც. ფ-ლი“ შეიქნებოდა.

თქვენი ქუთათური ამხანაგი ვანო.

---


# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ქ უ თ ა ი ს ი ს

## საცდელი მინდორი

აუწყებს ბბ. მეურნეთ, რომ პარასკევობით და კვირაობით ის ყიდის ერთი და ორი წლის დამყნილ

## ხ ე ხ ი ლ ი ს ნ ე რ გ ს

ოროორ შაურათ ძირს.

ქ. ქუთაისი, პუშკინის ქუჩა; ბ. ლალიძის ხელოვნურათ გამზადებული ხილეულობის წყლის ზავოდის ეზო.

---

თფილისის კერძო სამკურნალო

## გედევანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავათმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 01 საათიდან 11-მდის.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 11—12.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგ. და ბავშ. 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვების, და ბავშვებისა სამშაბ. და პარასკ. 1—2. კვრაობით—9—11.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით, 12—1.

გ მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2.

ვ გრ. სობოლევსკი— ქირურგ. და ორტოპედიულის ორშ., ოთხშ. და პარასკ. 1—3.

საღამოთი:

ი ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის ცხრა, მიკრო ქიმიური ბაქტერიოლოგიური გამოკვლევანი 5—6.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.


# 1903 წელს

გაზეთი ,,ივერია'' გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორათაც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისთვის და ერთ თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთათ გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში—,,ივერიის'' რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიებში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათომში—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში—ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.

ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

ზესტაფონში:—(ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.

საბუნჩაში—პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში—პართენ ნასიძესთან.

განჯაში—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზე).

გორში—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზე—10 კაპ. სტრ., მეოთხეზე—5 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 55 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція ,,Иверіа''.



გრ. ჩარკვიანის

ქართული კედლის

## კალენდარი

1903 წ.

[illegible]ისყიდება ყოველგან.

ფასი 40 კაპ.

(2—2)



გამოვიდა და იყიდება

[illegible]ველგან ,,ქართვ. შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების'' მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## ბუნების ცოდნა.

I. ჰოლბერი.

26 სურათით.

თარგმანი პ. სურგულაძისა. ფასი 25 კაპ.

II. ი. გოგებაშვილი.

## ასპინძის ომი.

ისტორიული ამბავი. ორის სურათით და ქარტით. ფასი 7 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც. ადრესი: Тифлисъ. Общество распростр. грамотности среди гузинъ.



ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საპრემიოთ წარმოდგენილ

## პიესების ავტორებს,

რომ არც ერთი პიესა არ იქმნა პრემიით დაჯილდოვებული და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს შეუძლიათ მოიკითხონ და უკანვე მიიღონ პიესები, ყოველ დღე დილის 11-დან 1-ს საათამდე; უნდა მიმართონ საზოგადოების კანტორაში ადმინისტრატორს ნახუცრიშვილს.

(3—2)



# РУССКОЕ БОГАТСТВО

ИЗДАВАЕМОЕ

**В. Г. Короленко и Н. К. Михайловкимъ.**

**ПРИНИМАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ.**

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ 8 р., за границу 12 р. Адресъ: Петербургъ, Баскова ул., 9; Москва, Никитскія ворота, д. Гагарина.—При непосредственномъ обращеніи по этимъ адресамъ допускается разсрочка: при подпискѣ 5 р. и къ 1-му іюля 4 р. или при подпискѣ 3 р., къ 1-му апрѣля 3 р. и къ 1-му іюля 3 р.—Книжные магазины, библіотеки, земскіе склады и потребительныя общества могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждого годоваго экземпляра. Подписка въ разсрочку отъ нихъ не принимается.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ (X ГОДЪ ИЗДАНІЯ)
На ежемѣсячный научно-философскій и литературный журналъ

# Научное Обозрѣніе.

Подъ ред. **М. Филиппова**, при ближайшемъ участіи проф. **С. Глазенапа**, проф. **Л. Петражицкаго** и проф. **В. М. Шимкевича**.

„Научное Обозрѣніе" имѣетъ цѣлью знакомить читателей въ общедоступной формѣ съ движеніемъ научной и философской мысли.

Продолжая слѣдовать своему популярному, но въ тоже время строго-научному направленію, редакція „Научнаго обозрѣнія", при вступленіи въ десятый годъ изданія, рѣшила произвести существенныя улучшенія, путемъ привлеченія новыхъ научныхъ и литературныхъ силъ. Съ января 1903 года вводится:

НОВЫЙ ОТДѢЛЪ БЕЛЛЕТРИСТИКИ

(романы, повѣсти, драмы, стихотворенія).

Въ отдѣлѣ журнальнаго обзора редакціей обращается вниманіе на статьи, помѣщаемыя въ научныхъ и литературныхъ органахъ преимущественно иностранныхъ, причемъ имѣются въ виду въ особенности читатели, не имѣющіе возможности слѣдить за иностранною печатью.—Въ отдѣлѣ общественныхъ наукъ будутъ помѣщаться также статьи изъ области ученія о правѣ и государствѣ. Редактированіе трехъ научныхъ отдѣловъ приняли на себя: отдѣла „научныхъ новостей" проф. С. П. Глазенапъ, отдѣла соціально-юридическаго проф. Л. Петражицкій и отдѣла біологическихъ наукъ—проф. В. М. Шимкевичъ.

Въ отдѣлѣ „Народный Университетъ" (для Самообразованія) принимаютъ участіе учредители русской парижской школы Общественныхъ наукъ: проф. Ю. Гамбаровъ, проф. Максимъ Ковалевскій, проф. М. Тамамшевъ, Е. де-Роберти, члены одесскаго лекціоннаго комитета и другіе ученые.

Подписная цѣна: на годъ безъ доставки въ Спб. 7 р. Съ доставкой и пересылкою по всей Россіи 8 р. Разсрочка по два рубля за четверть года. За границей 10 р. Адресъ Главной Конторы: С.-П., Малая Итальянская, д. 37.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ—(X г. изданія журнала).

# „ХОЗЯИНЪ"

**Подписная цѣна**: на годъ **6** руб., на полгода **3** руб., на мѣс. **60** коп. съ пересылкой.

За границу: на годъ **8** руб., на полгода **4** руб. Отдѣльные нумера **20** коп.

**Разсрочка по одному рублю** въ теченіе первыхъ шести мѣсяцевъ.

**Объявленія по 10 коп.** за строчку петита въ одинъ столбецъ (4 столбца на страницѣ).

Подписчики въ 1903 г. получатъ безплатно слѣдующія 6 книгъ «БИБЛІОТЕКИ ХОЗЯИНА»:

1) **КРУПНЫЙ РОГАТЫЙ СКОТЪ** въ условіяхъ русскихъ хозяйствъ. Сборникъ статей покойнаго **А. А. Армфельда**. Съ портретомъ автора.

2) **ВОЗДѢЛЫВАНІЕ КАРТОФЕЛЯ** по даннымъ науки и практики. Проф. **С. М. Богданова**.

3) **КОНЕВОДСТВО**. Практическое руководство къ разведенію рабочихъ лошадей. **Ф. Ольденбурга**. Переводъ съ нѣмецкаго.

4) **РЫБОВОДСТВО**. Практическое руководство къ разведенію рыбъ. **А. Веедера**. Переводъ съ нѣмецкаго.

5) **СѢМЕНА ЛУГОВЫХЪ ТРАВЪ и КЛЕВЕРА**. Руководство къ опредѣленію и изслѣдованію сѣмянъ. **Д-ра Л. Виттмака**. Переводъ съ нѣмецкаго. В Г. Доппельмаира. Съ 12 литографирован. таблицами и 25 рисунками.

6) **КУЛЬТУРА КОРЗИНОЧНОЙ ИВЫ. В. Геммерлинга.** Перев. съ нѣмецкаго. Съ 6 литографированными таблицами и 30 рис.

Контора и Редакція С.-Петербургъ. *Невскій, 92.*

**При каждомъ №,** независимо отъ другихъ приложеній, **подписчики получатъ по одной книгѣ**, а новые подписчики, выписывающіе также (за 1 р. 50 к., съ перес. 2 р.) первые 12 томовъ соч. Лѣскова, получатъ ихъ при первомъ нумерѣ за 1903 г.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
**НА 1903 ГОДЪ**
(34-й годъ изданія)
на ежен. иллюстрированный
**ЖУРНАЛЪ**
со многими приложеніями

# НИВА.

**Гг. подписчики „НИВЫ" получатъ въ теченіе 1903 года:**

**52 №№** художественно-литературнаго журнала «НИВА», заключающаго въ себѣ въ теченіе года до 2000 столбцовъ текста и 1100 гравюръ, рисунковъ и художественныхъ снимковъ

**40 ТОМОВЪ** «Сборника Нивы» (каждый отъ 10—15 листовъ. въ общемъ около 9.000 страницъ), содержащихъ:

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ ВЪ **16 ТОМАХЪ**

# АНТ. П. ЧЕХОВА

(**цѣна въ отдѣльн. продажѣ 17 р. 50 к.**), которое будетъ отпечатано четкимъ шрифтомъ на хорошо-глазированной бумагѣ и будетъ выдано въ теченіе 1-го 1903 г.

и остальные **24 ТОМА** ПОЛНАГО СОБРАНІЯ СОЧИНЕНІЙ

# Н. С. ЛѢСКОВА

(цѣна въ отдѣльной продажѣ 17 р.), значительно дополненнаго многими произведеніями, не вошедшими въ прежнія изданія, въ томъ числѣ: **По поводу „Крейцеревой сонаты", „Мелочи архіерейской жизни", „Расточитель"** и друг.

## „Ежемѣсяч. литератур. и популярно-научн. приложеній",

**12 КНИГЪ** содержащихъ романы, повѣсти, разсказы, популярно-научныя и критическія статьи современныхъ авторовъ и отдѣлы библіографіи, музыки, смѣси, шахматовъ и шашекъ, спорта, забавъ и разныхъ игръ. До 200 столбцовъ текста съ иллюстраціями.

**12 №№** «ПАРИЖСКИХЪ МОДЪ», выходящихъ ежемѣсячно. До 200 столбцовъ текста и 300 модн. гравюръ. Съ почтовымъ ящикомъ для отвѣтовъ на разнообраз. вопр. подписчиковъ,

**12 ЛИСТОВЪ** рисунковъ (около 300) для рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и для выжиганія и до 300 чертежей выкроекъ въ натуральную величину, выходящихъ ежемѣсячно.

**1 „Стѣнной календарь"** на **1903** г., отпеч. въ 9 красокъ.,

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на годовое изданіе со всѣми приложеніями: безъ доставки: 1) въ С.-Петербургѣ—6 р. 50 к. 2) въ Москвѣ въ конт. Н. Н. Печковской (Петровск. линіи)—7 р. 25 к., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «ОБРАЗОВАНІЕ» (Ришельевск., № 12)—7 р. 50 к. Съ доставкой въ С.-Петербургѣ—7 р. 50 к. СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ ВО ВСѢ ГОРОДА и МѢСТНОСТИ РОССІИ 8 руб. За границу 12 руб.

**Допускается разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока.**

Новые подписчики, желающіе получить, кромѣ «Нивы» 1903 г. со всѣми приложеніями,—еще первые

**12 ТОМОВЪ** полнаго собранія соч. ЛѢСКОВА, приложенные при «Нивѣ» въ 1902 г., доплачиваютъ единовременно при подпискѣ: безъ доставки въ СПБ. 1 р 50 к.; безъ дост. въ Москвѣ и Одессѣ 1 р. 75 к., съ дост. въ СПБ. и съ перес. иногороднымъ и за границу—2 р., такъ что подписная цѣна составитъ: безъ доставки 1) въ С.-Петербургѣ—8 р., въ москвѣ у Н. Печковской—9 р., 3) въ Одессѣ въ кн. маг. «Образованіе»—9 р. 25 к., съ доставкою въ С.-Петербургѣ—9 р. 50 к., съ перес. во всѣ мѣста Россіи—10 р. и за грар.—14 р.

Требованія просятъ адресовать: въ С.-Петербургъ, въ Главную Контору журнала «НИВА» (А. Ф. МАРКСУ), улица Гоголя (бывш. М. Морская), д. № 22.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1903 годъ

*На еженедѣльную финансово-экономическую, торговую и промышленно-техническую газету*

# „ПРОМЫШЛЕННЫЙ МІРЪ"

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ пересылкой и доставкой:

на годъ—**10** руб., полгода—**5** р. и четв года—**3** р.

**Подписка принимается** въ конторѣ редакціи: С-Петербургъ, Коломенская ул., д. № 1. и во всѣхъ книжныхъ магазинахъ

Пробные №№ высылаются по первому требованію **БЕЗПЛАТНО.**

Редакторъ-Издатель **А. С. ЗАЛШУПИНЪ.**

---

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА 1903 ГОДЪ

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ".

(XX-й годъ изданія)

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

**съ доставкой и пересылкой:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| на 12 мѣсяц. | . 7 р.—к. | | на 6 мѣсяц. | . 4 р.—к. | |
| » 11 » | . 6 „ 50 » | | » 5 » | . 3 » 50 » | |
| » 10 » | . 6 » — » | | » 4 » | . 3 » — » | |
| » 9 » | . 5 » 50 » | | » 3 » | . 2 » 50 » | |
| » 8 » | . 5 » — » | | » 2 » | . 2 „ — „ | |
| » 7 » | . 4 » 50 » | | „ 1 „ | . 1 „ — „ | |

За границу на годъ 14 р., на полгода 8 р., на 3 мѣсяца—5 руб.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ читаленъ, библіотекъ и благотворительныхъ учрежденій скидка: годовая плата для иногороднихъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца—въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Плата за объявленія: для Кавказскаго края на 1 стр. одинъ разъ—15 коп. (со строки петита), на 4 стр.—8 к. Объявленія, печатаемыя болѣе одного раза на 1-й стр.—10 к. (со строки петита), на 4-й стр.—5 коп. За годовыя объявленія—значительная скидка.

Объявленія отъ лицъ, фирмъ и учрежденій Петербурга, Москвы, Риги, Царства Польскаго и заграничн. принимаются исключительно въ конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К° въ Петербургѣ и Москвѣ—по 10 коп. за строку петита—на 4 стр. и по 20 коп.—на 1 стр. (3—1)

---

24 თებერვალს, არტისტიულ საზოგადოების საკონცერტო ზალაში გამართულ იქნება

## მუსიკალურ-ვოკალურ-სალიტერატურო

# საღამო

ნაძალადევის უფასო დაწყებით შკოლის სასარგებლოდ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არციბაშევისა, კარამზინისა, ჟუკოვსკისა, ნევტონოვისა, სავიცკისა და ბ-ნნი ბარათოვი, ვეიმანი, პოლივკა, სემიგალოვი, შმიდ...ვი და სხ.

რედ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

---

მიიღება ხელის მოწერა 1903 წლისათვის

# „მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

ყოველ თვიური ჟურნალი

## „მოამბე"

(წლიწადი მეათე)

**ფასი ჟურნალისა:**

| კავკასიასა და რუსეთში: | | საზღვარ გარეთ: | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით . . . | 10 მ. | ერთის წლით . . . | 13 მ. |
| ექვსის თვით . . . | 6 „ | ექვსის თვით . . . | 7 „ |
| სამის თვით . . . | 3 „ | სამის თვით . . . | 5 „ |

ყოველ დღიური გაზეთი

## „ცნობის ფურცელი"

ორის სურათებიანის დამატებით

(წლიწადი მერვე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**

| კავკასიასა და რუსეთში: | | საზღვარ-გარეთ: | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით . . . | 6 მ. | ერთის წლით . . . | 9 მ. |
| ექვსის თვით . . . | 4 „ | ექვსის თვით . . . | 5 „ |
| ერთის თვით . . . | 75 კ. | ერთის თვით . . . | 90 კ. |

ვინც „მოამბეს" მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" **სურათებიანის დამატებით** უფასოდ გაეგზავნებათ, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელისმოწერისათანავე უნდა იქნეს შემოტანილი.

**წლიური ფასის განაწილება ორივე გამოცემაზე:**

პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მ., 1-ლ აგვისტომდე—3 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ въ редакцію „Мсамбе" и "Цнобисъ-Пурцели".


Дозволено цензурою, Тифлисъ 22 февраля 1903 г. ელექტრონის სტამბა ძმ. თავართქილაძეებისა; სერგეევის ქ., სახ. № 1.